

# მოამბე

შაბათი, მაისის 28.

1921 წ.

წელიწადი  
პირველი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 7

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 7

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელის ქ. № 1.  
(უფო—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

სარედაქციო საქმეებზედ მოლაპარაკება შეიძლება ეოველ დღე—საღამოს 5-დან 7 საათამდე.

## რედაქციის აგან

„მოამბე“-ში გახ'ნილია კითხვა-პასუხის განყოფილება რედაქციისა და საკითხავის შუამავსა, რომლებიც აინტერესებს რევოლუციისა და სხვა ორგანიზაციებს. მიღებულ შეკითხვებზე რედაქცია დაუყოვნებლივ გასცემს პასუხს.

## ოფიციალური განყოფილება

### დეკრეტი № 36

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ღებრისა და დროშის დაწესების შესახებ.

ვინაიდან 1921 წლის თებერვლის 25-დან საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება ე. ი. მშრომელთა დიქტატურა, საქართველოს ს.ბ.კ. სო.კ. რესპუბლიკის რევოლუციონერი კომიტეტი სამუდამოდ დაუქმებოლად აცხადებს ბურჟუაზიული წესწყობილების ყველა ემბლემატს, რომელიც იყო სამფეროვანი დროშა და ძველი ღებრი და აღგენს:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშ იქნის შემდეგნაირი: ქსოვილი წითელი (აღ-ს) ფერისა, მარცხენა კუთხეში, ზევიო, აღამის მაღლი სიგანის ერთ მეოთხედ კადრატულ სიგრავზე შედივი წარწეიტი: „ს. ს. ს. რ.“

2. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ღებრი იქნეს შემდეგნაირი: მრგვალი წითელი არე, ზე-

ვით ხეთ-სტიგოსანი ვარსკვლავი, თითოთა დაბრწყინვალიგზო სიგრავზე, ქიშოთ თოვლიანი მთავრებილი ცისფერი და სოსანი ფერისა; მარჯვნივ ოქროს ფერი პურის თავთავი, მარცხნივ ოქროს ვაზი მარჯვნივით. ვაზისა და თავთავების ბოლოები ერთნაირშია გადახლართოლი თოვლიან მთავრებილის ძირას დისკოს ქვემო ნაწილში. ოქროს ნაშალასა და ყროს დამოსახურობას ოქროს დიდი ნაწილი დისკოს შუაგოლი და ზივით მოლოდარი ვარკოავს ებჯენია, ქვიით თოვლიან მთავრებილს, ხოლო გვერდებზე ოქროს ფერს ვაზისა და თავთავებს. დისკოს ვარშევი წარწეიტია სანს ვნაზი: ქართულად, რუსულად და თრანკულად: „პროლეტარებო ავიოა ქვიყნისა. შერთდით!“ ღებრს ვარშევი შემოვობოლი აქვს ქართული სტლის (მოსახლობის) ორნამენტის რშა.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის  
თავჯირომარი ფ. მ. ხარაძე.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომ. მდიანი შ. ვაბრიძე.  
1921 წ., მაისის 20. ქ. აფლისი—სასახლე

# დებრეტი № 37

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების შესახებ

1. სამკურნალო ადგილებად ანუ კურორტებად ითვლება: ა) ადგილობრივი სამკურნალო წყლების წყაროები (მადნეულით და ქიმიურათ უმნიშვნელოსი) ან ტალახებით, ბ) მარლიანი ტბები და საზღვაო საბანაო ადგილები, გ) კლიმატიური და მთის სადგურები და დ) კუმისით სამკურნალო ადგილები.

2. სამკურნალო ადგილები და კურორტები მთელს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც უნდა იქნენ და ვისაც უნდა ეკუთვნოდნენ, მთელი თავისი შენობებით, მოწყობილებით და მოძრავი ქონებით, რაც კი კურორტის საჭიროებას ემსახურებოდა წინათ და კურორტისათვის მიკუთვნილ ადგილებზე არის, შეადგინენ რესპუბლიკის საკუთრებას და სამკურნალო მიზნებისათვის იქნებიან გამოყენებული.

**შენიშვნა I:** სამკურნალო ადგილებსა და კურორტებში შენობები, ნაგებობანი და მოძრავი ქონება ან ჩამოერთმევა მესაკუთრეთ ნაციონალიზაციის წესით, ან გამოისყიდება ან და იჯარით აიღება.

**შენიშვნა II:** მცირე მესაკუთრეთა სახლებზე, უკეთუ ისინი იქ მუდმივად სცხოვრობენ, დეკრეტის მეორე მუხლი არა ვრცელდება.

3. სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები შეიძლება აღიარებულ იქნენ საერთო სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ადგილებათ.

4. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ სამკურნალო ადგილებს ანუ კურორტებს, უკეთუ: 1) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დასკვნით, დიდი მნიშვნელობა აქვთ მადნეული წყლებისა, მადნეული ტალახებისა და სხვ. შემადგენლობისა ან სამკურნალო თვისების მიხედვით და აგრეთვე ავადმყოფთათვის საჭირო მოწყობილობის მხრავ და 2) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების დასკვნით, თუ მათ აქვთ მუდმივად წყლისა ან მადნეული ტალახების საკმაო რაოდენობა.

5. სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები ცხადდება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილებად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით.

6. იმ სამკურნალო ადგილებზე, რომელთაც მიეკუთვნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, სამკურნალო წყლებისა და ტალახების გაფუჭების ანუ გამოფიტვისაგან უზრუნველყოფისათვის დაწესებულ იქნება სამთო დაცვის ოლქი, სამთო დაცვა შეიძლება დაწესდეს აგრეთვე იმ წყაროებისათვისაც, რომელნიც სამკურნალო ადგილების საჭიროებას წარმოადგენენ.

7. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სამკურნალო ადგილების სანიტარული მხრით უზრუნველსაყოფად წესდება სანიტარული დაცვის ოლქი, რომლის საზღვრებში შედის აგრეთვე სამკურნალო ადგილის მთელი სივრცე. ამავე სანიტარულ დაცვის ოლქში უნდა იქნეს მოთავსებული ყველა ის წყაროები, საიდანაც სასმელ წყალსღებულობს ასეთი სამკურნალო ადგილი.

8. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქების საზღვრები წესდება და ეცვლება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით და სამთო სანიტარული დაცვის დებულებით.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დედგენილებანი იმ ზომების შესახებ, რომელთა მიხედვითაც უნდა სწარმოებდეს ოლქის საზღვრებში მადნეული წყლების დაცვა და წესიერი მოვლა და მათთან დაკავშირებული სამკურნალო დაწესებულებათა სანიტარიის მხრით მოწესრიგება.

10. ყველა მამულები, პარკები, ველისა და წყლის მიდამოები, რომლებითაც წინათ სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები სარგებლობდნენ სამკურნალო მოთხოვნილებათა საჭიროებისათვის, მათი შენობებით, მოწყობილებით და ინვენტარით უნდა ჩამოერთვას მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს და გადაეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მის დაწესებულებათ უშუალო გამგებლობაში.

11. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქის ფარგლებში გაშენებული ტყე გამოცხადდება დამცველ ტყედ. ასეთ ტყეებში მეურნეობას აწარმოებს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი იმ გეგმით, რომელსაც დაწესებს სატყეო უწყება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

12. თუ სამკურნალო ადგილებისა ანუ კურორტების სამკურნალო მიზნებისა და საჭიროებისათვის აუცილებელია ისეთი მიწებისა და მამულების მიზომვა, რომლითაც წინათ კურორტი არ სარგებლობდა, ასეთი მიზომვა უნდა იქნეს მიწით სარგებლობისათვის არსებული დებულების წესის მიხედვით.

13. სამკურნალო ადგილების ანუ კურორტების უმაღლესი გამგებლობა ევალება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

14. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილის ანუ კურორტის ადგილობრივი სამმართველო დამოუკიდებელია სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო ხელისუფალთაგან და ემორჩილება უშუალოდ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

15. სურსათით, სადგომით და სათბობით უზრუნველყოფის საქმეში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაწესებულებანი თანასწორი არიან საავადმყოფოებისა.

16. ის სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები, რომელნიც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარეშე იქნებიან, მაგრამ მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისება არიან, ჯანმრთელობის



მის სახალხო კომისარიატს შეუძლიან გამოაცხადოს საზოგადოებრივ მნიშვნელობის კურორტებად და დაარსოს მათთვისაც სამთა და სანიტარულ დაცვის ოლქები, დაინტერესებულ კომისარიატებთან შეთანხმებით.

17. ადგილობრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილები ანუ კურორტები ემორჩილებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საეროო ზედამხედველობას, რომელიც ვადასცემს მათ საიქიმო სასანიტარო სამმართველოს ადგილობრივ სათანადო ორგანოების გამგებლობაში.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი კუჭაიძე.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., მაისის 20.

ქ. ტფილისი. — სასახლე.

### დებულება № 38

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა მშრომელთა შორის ბინების ხიზნორით განაწილების შესახებ

მშრომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათ შორის ბინების სისწორით განაწილების მიზნით, საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველგვარი ზომები ბინების აღრიცხვა განაწილების შესახებ უნდა შემუშავებულ და გატარებულ იქნეს ცხოვრებაში კომუნალური განყოფილებების მიერ, ადგილობრივი რევკომების ხელმძღვანელობით, შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

**შენიშვნა:** ა) ამ დეკრეტით გათვალისწინებული ბინების მოქალაქეთა შორის სისწორით განაწილება შეესაბამება საშუალებით ვრცელდება მხოლოდ მთავარ ქალაქებზე: ტფილისსა, ქუთაისსა ბათუმსა და ფოთზე.

**შენიშვნა:** ბ) სხვა სამაზრო ქალაქებში ეს დეკრეტი შეიძლება განხორციელდეს შინაგან საქმეთა კომისარიატის დასტურით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ ადგილობრივი სათანადო შუამდგომლობას აღძრავს.

**შენიშვნა:** გ) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან არსებულ მუშების პირობების გაუმჯობესების კომისია შედის მთლად ცენტრალურ საბინაო განყოფილების შემადგენლობაში და ემორჩილება უკანასკნელს.

2. მოქალაქეთა გადასახლება ერთ ბინიდან მეორეში შეიძლება მოხდეს უკიდურეს საჭიროების გამო საბინაო განყოფილების დასაბუთებული დადგენილებითა და ადგილობრივი კომუნალური განყოფილების დასტურით.

**შენიშვნა:** გადასახლებებს დროს მოქალაქეს უნდა მიეცეს სხვა შესაფერი ბინა, ბარგის გადასახლება საშუალება და გადასახლებისათვის გადა

3. მცხოვრებლების მასიური გადასახლებების, თუ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოახლოვს ხდება შინაგან საქმეთა კომისარის შუამდგომლობით და საქართველოს რევკომის დასტურით; ამ შემთხვევაში ადგილობრივი კომუნალური განყოფილება დასაბუთებულ შუამდგომლობას უდგენს შინაგან საქმეთა კომისარიატს.

4. მშრომელთა შორის ბინების სისწორით განაწილებისათვის საბინაო განყოფილება ზომებს ღებულობს, რათა სამართლიანად და მტკიცედ იქნეს გატარებული კერძო ბინებისა და დაწესებულებათა შევსება და აგრეთვე იმ ბინების განთავისუფლება, რომელიც უჭირავთ არა საცხოვრებელ მიზნით.

5. საბინაო განყოფილება აწესებს ერთი ადამიანისათვის საჭირო ბინის ზომას; ზომა იქნეს დამტკიცებული ადგილობრივი რევკომის მიერ საიქიმო სასანიტარო ინსპექციისთან შეთანხმებით.

**შენიშვნა:** ა) ბინების შევსების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რამდენად შესაძლებელია ერთ ბინაში ანუ ოთახში თანამდგმურთა მოთავსება.

**შენიშვნა:** ბ) ბინების შევსების დროს ანგარიშში არ უნდა იქნეს მიღებული ბნელი ოთახები დერეფნები, გასაღვლელი ოთახები და სხვა საცხოვრებლად უვარგისი სადგომი.

6. ბინების შევსების დროს მოქალაქეთ უფლება უნდა მიეცეთ, ორი კვირის განმავლობაში თანამდგმურის გამოძებნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში საბინაო განყოფილებას ნება აქვს შეავსოს ბინა იძულებით.

7. დამატებითი ბინა ან ცალკე ოთახი მიეცემა თანახმად ექიმის დასკვნისა ისეთ ავადმყოფებს, რომელნიც საჭიროებენ განცალკევებულ ყოფნას, მაგ.: ტუბერკულის, ათაშანგიანებს, სულთ ავადმყოფებს და სხვა.

8. დამატებითი ბინა შეიძლება მიეცეს აგრეთვე მშრომელთა ჯგუფს ან ცალკე პირებს თუ მათი პროფესიონალური მოღვაწეობა ამას მოითხოვს.

9. თუ სადგომში იმყოფება ავადმყოფი, მისი შევსება შეიძლება მხოლოდ ავადმყოფის, მორჩენის შემდეგ.

10. მოქალაქე, რომელიც თავის სადგომს ინახავს უსუფთაოდ, არ იცავს სანიტარულ მოთხოვნილებას, არღვევს შინაგან წესრიგს, დაისჯება დატუსაღებით ერთი თვის ვადამდე.

11. ზემოხსენებულ ზომების ცხოვრებაში გატარება ევალება საბინაო განყოფილებას.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი კვიციანი.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.  
1921 წ. მაისი 23.

ტფილისი — სასახლე.

# დადგენილება № 18

საქ. ს. ს. რ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

მხნაგრებთათვის სამკურნალო წაშლავის ქუფასოდ მიღების შესახებ.

ჩაღვან საქართველოში აფთიაქების ნაციონალიზაცია გამოცხადდა, რევოლიუციონური კომიტეტი აღგენს:

დაწყებული ამა 1921 წ. მაისის 14-დან რესპუბლიკის მცხოვრებთ აფთიაქებიდან სამკურნალო წამლები მიეცეთ უფასოთ შემდეგი წესით:

1. სოფლებში-ყველა მოქალაქეთ საბჭოთა ექიმების რეცეპტებით.

2. ქალაქებში-ყველა მოქალაქეთ, რომელნიც საქმიო დახმარებას იღებენ ამბულატორიებსა და საავადმყოფოებში.

3. პროფესიონალური კავშირების ყველა წევრებს და მათ ოჯახებს, ქალაქის უღარბებს მცხოვრებთ და იმ ბირებებს, რომელნიც სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.  
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი კუჭაიძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 14. ტფილისი-სასახლე.

# დადგენილება № 21

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ამნისტიის შესახებ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების სამი წლის თავზე, ვინაიდან საქართველოს ხალხი მხროლედ ეხლა განთავისუფლდა ევროპის კაპიტალისტების დამქაშებისა და საერთაშორისო დარუსეთის კონრ-რევოლიუციის ხელის შემწყობთაგან, მშრომელი ხალხისათვის ამ სასიხარულო და მუშათა და გლეხთა საქართველოს ნამდვილად განთავისუფლების დღეს, რევოლიუციონური კომიტეტი შესაძლოდ სცნობს შემსუბუქებულ იქნეს სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დასჯილთა მდგომარეობა, როგორც გამოძიებაში მიცემულთა, აგრეთვე დაპატიმრებულებისა, თუ დაპატიმრება არ არის გამოწვეული აუცილებელი საჭიროებით.

ამიტომ საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი აღგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს ფართო ამნისტია ყველა იმ პირთა შესახებ, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი 1921 წ. მაისის 26-დღე, შემდეგი წესით:

ა) სრულიად განთავისუფლება ყოველ გვარი სასჯელისაგან, რომელიც არ იწვევს დაპატიმრებას

სასამართლოსი და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ დადგენილებით.

ბ) ვადის შესრულებამდე განთავისუფლება საპატიმროებიდან და მათი იძულებითი სამუშაოზე გადაყვანა ან განთავისუფლება უამისოდ.

გ) სასჯელის ვადის შემოკლება.

2. ამნისტია გავრცობილი იქნეს როგორც იმ პირებზე, რომელთაც უკვე გადაწყვიტილი აქვთ სასჯელი, აგრეთვე იმ პირებზედაც, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან.

3. დაიგალოთ უმაღლისი ხარისხის სასჯელიანი განაჩენის დამდგენ დაწესებულებათ, თკითუ განაჩენი აღსრულებაში არ მოუყვანიათ, 1921 წლ. მაისის 26-დღე, გადასინჯონ ყველა საქმი ამ განაჩენების შესახებ სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

4. შემსუბუქებულ იქნეს სასჯელი, რადებოლი დეზერტირებისათვის და დეზერტირობის ხელშემწყობისათვის, —სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლებამდე.

5. განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისაგან ყოველი დეზერტირი, რომელიც 1921 წლ. ივნისის 10-დღე ნებაყოფლობით გამოცხადდება ხელისუფალთა ვანკარგულებაში.

6. ამნისტია ესე გავრცობილი იქნეს შეთერთმეტი არმიის სამხედრო მოსამსახურეებზე, ვისაც დანაშაული საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში ჩაუდენია.

7. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარს — შეიმუშაოს დაწერილებითი ინსტრუქცია ამ დადგენილების აღსასრულებლათ და მასვე დაიგალოს ზედამხედველობა მისი სისწორით განხორციელებისათვის

8. დადგენილება ესე აღსრულებულ იქნეს ტილეგრაფის საშუალებით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

იუსტიციის სახალხო კომისარი ნაზარეტიანი.  
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი  
შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 26.  
თბილისი—სასახლე.

# ბრკანება № 52

საქართველოს ს. ს. რ. კომიტეტისა

1. საქართველოს ყველა სავაჭრო ნავთსადგურების გამგებლობა ბათომიდან გაგრამდე და აგრეთვე მათი ექსპლოატაცია სავსებით ევალება გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს საზღვაო სავაჭრო ფლოტის, მისი სავაჭრო ნავთსადგურებისა და ცალკე



ტების შთელი მოქმედება გავრთიანებულ იქნეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს ხელმძღვანელობით.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავ 'ჯდომარე ფ. მახარაძე.

სამხედრო და საზღვაო სამხედრო კომისარი "ხ. ელიავა.

რევკომის მდივანი შ. ვაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 18

ქ. ტფილისი-სახალხო.

# შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

## სიჩუქულიარულად

ყველა რევკომებს კომუნალურ განყოფილებას.

თანხმად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წ. მაისი 14-ის დეკრეტისა ან შნ. მაზრის და ქალაქის რევკომებთან დაარსებულ კომუნალურ განყოფილებათა ქვედა განყოფილების რაოდენობის გახსაზღვრა ევალება ადგილობრივ რევკომებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილების მიერ აპრილის 15-ის რაქტით № 801 რევკომებისადმი დაგზავნილ, შეკითხვაზე მიღებულ პასუხებიდან სჩანს რომ ძთელი რიგი ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის დარგებისა სატენნიკო ხასიათისაა, რისთვისაც საჭიროა ყოველ კომუნალურ განყოფილებაში დაუყონებლივ მოწყობილ იქნეს სატენნიკო ქვედა განყოფილება, რომლის სათავეშიაც იქნება კომუნალური განყოფილების კოლეგიის მიერ დანიშნული გამგე, პასუხის ძგებელი კომუნალური განყოფილების გამგის წინაშე. თანახმად დეკრეტის § 9-ის შეიძლება თვით განყოფილების გაქვემ ჩაიბაროს ქვე-განყოფილების უშუალო გამგებლობა.

სატენნიკო ქვე-განყოფილების დანიშულებას შეადგენს: საზოკადო საჭიროების და ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებათა ორგანიზაცია და გამგებლობა; ადგილობრივ ხასიათის გზების, ხელოვნურ ანაგებთა და ქუჩების შენება, რემონტი და მოვლა; დასახლებულ ადგილებში წყალსადენების (წყაროების) გაყვანა; შენობათა აგებისა და რემონტის ხელმძღვანელობა; შინდკრის მოსარწყავად აოხების გაყვანა და მოვლა; დასახლებულ ადგილთა რაციონალურად დაგეგმა და საერთოდ მათი კეთილმოწყობა, საჯარო პარკების, სკვერების, ხეივნების, ძეგლების და კულტურის ნაშთთა დაცვა; ზრუნვა ადგილობრივ მიქოსელის საშუალებათა გასაუქმობებისად; გამგებლობა კომუნალური ქარავნისა; ძიცვალეიულთა დაკრძალვის ორგანიზაცია;

ცეცხლის მქრობელთა რაზმის ორგანიზაცია და გამგებლობა, ტენნიკური ზედამხედველობა და კონტროლი ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის ყველა დარგში.

ადგილობრივ პირობებისა და საჭიროების მიხედვით თითოეულ მაზრაში ან ქალაქში შესაძლოა გაფართოებულ იქნეს სატენნიკო ქვე-განყოფილების მოქმედების ფარგლები. საქმიანობის მრავალდეროვნების მიხედვით სატენნიკო ქვე-განყოფილება განიყოფება სექციებად. ეს დაყოფვა შეიძლება მიხედეს თანდათანობით, მოქმედების დარგთა ხასიათის გამორგვევისა და საჭიროების მიხედვით.

ასეთი საშუაონი, როგორც არის: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაყვანა, წყაროების გაყვანა, შენობათა აგება და სხვა ამ გვარი თავს მოიყრიან ერთს სექციაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **სარემონტო-სააღმშენებლო სექცია**.

განათება ყველა სახისა, აბანოები, საქალაქო წყალსადენი, სადალაქოები, საშრეცხველო და სხვა საზოგადო საჭიროების წარმოებანი შევლენ ერთ სექციაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **წარმოებათა სექცია**.

მიცვალეიულთა დაკრძალვის საქმე, ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველი ორგანიზაცია, დასახლებულ ადგილთა კეთილმოწყობა, ნაგვის დაწვა, სისუფთავის დაცვა და სხვა-თავს მოიყრიან ერთ სექციაში, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ **კეთილმოწყობის სექცია**. თვითოეულ სექციას უნდა განაგებდეს ტენნიკურ მომზადებით აღჭურვილი პიროვნება.

სატენნიკო ქვე-განყოფილებაში შეიძლება დაარსებულ იქნეს ტენნიკური კოლეგია, რომელშიაც შევლენ ქვე-განყოფილების და სექციათა გამგენი, აკრთვე საამშენებლო მუშათა წარმომადგენელი. ამ კოლეგიის დანიშნულება იქნება ყველა საერთო ხასიათის კითხვების განხილვა და წარდგენა დასაპტკიკებლად კომუნალურ განყოფილების კოლეგიაში.

დაწერილებითი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოეწყოს ტენნიკური ქვე-განყოფილება და მისი სექციები, შემუშავებული იქნება ახლო მომავალში და დაეგზავნებათ სამაზრო საქალაქო კომუნალურ განყოფილებებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილება სთხოვს ყველა კომუნალურ განყოფილებათ მიაწოდონ მას ცნობები შემდეგ კითხვებზე: მოწყობილია თუ არა სატენნიკო ქვე-განყოფილება, დაყოფილია სექციებად და რამდენ სექციად?

რას განაგებს და რა და რა სამუშაო აქვს ამ შახად ქვე-განყოფილებას და სექციებს და რა აქვს განზრახული უახლოეს ხააში გასაკეთებლად?

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვიციელია**.  
კომუნალურ განყოფილების გამგე **ნანიეშვილი**.

მაისის 19. 1921 წ.  
ქ. ტფილისი



### სირკულიარულად

ყველა მაზრის რევიკომს.

შინაგან საქმეთა კომისარიატში შემოსული ცნობების გამო, რომელიც შეეხება ლტოლვილთა ერთი რაიონიდან მეორეში გადასვლას, რის წყალობითაც, სადაც ისინი ბლომად იყრიან თავს იქ ემჩნევა სურსათის საკონხის ძლიერი გართულება, წინადადებას ვაძლევთ, დაუყონებლივ შეაჩეროთ მათი ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა და ევაკუაცია, ყოველ ცალკე შემთხვევისათვის შინაგან საქმეთა კომისარის ნებადაურთველად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.

1921 წ. მაისს 27.

### ბრძანება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

ყველა მაზრის რევიკომს

სიძველეთა და ხელოვნების ნაშთის დაცვის შესახებ.

თანახმად საქართველოს რევიკომის ბრძანებისა და განათლების კომისარიატის შუამდგომლობისა, წინადადებას ვაძლევ ყველა მაზრის რევიკომს, დაუყონებლივ მიიღონ ზომები თავიანთი მაზრის საზღვრებში, ხელოვნებლად და დაუზიანებლად იქნეს დაცული ყველა არსებული სიძველეთა და ხელოვნების ნაშთი.

1. ამისთვის ადგილობრივ რევიკომებმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების წარმომადგენლის თანდასწრებით, უნდა აღრიცხონ მთელი ქონება, რომელიც წარმოადგენს სიძველეთა და ხელოვნების ნაშთს.

2. აღრიცხვის შემდეგ მთელი სიძველეთა და ხელოვნების ნაშთი უნდა დარჩეს იმ პირთა პასუხის მგებლობის ქვეშ, ვის გამგებლობაშიაც დღეს ისინი იმყოფებიან.

3. უნდა შესდგეს ნაშთების სია, რომლის დედანი-აღმრიცხველთა და ნაშთების გამგებლობის ხელმოწერილი, უნდა გადაეგზავნოს განათლების სახალხო კომისარიატს, ერთი პირი დარჩეს ნაშთების გამგებელ პირთან, მეორე-მაზრის რევიკომში.

4. ნაშთების დაზიანებისა, გაფლანგვისა, მითვისებისა და გაფუჭებისათვის დამნაშავენი სასტიკ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

5. ეს ბრძანება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი ორი კვირის განმავლობაში დღიდან მისი ადგილობრივ მიღებისა.

შინ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე დ. ლამბაშიძე.

21 მაისი, 1921 წ.

### ბრძანება № 25

ქ. თბილისის რევიკომისა წასასვლელ ნებართვის გაცემის წესის შესახებ.

§ 1. საქართველოდან გასვლის ნებართვის გაცემა სწარმოებს (თბილისის ქალაქის რევიკომის სანებართვო ბიუროში—სოლოლაკის ქ. № 5, შესასვლელ კარების გვერდით).

2. ნებართვა მიეცემა სამსახურის გამო მივლინებულთა და მოსაზღვრე რესპუბლიკებში საპატიო მიზეზების გამო მიმავალ პირებს.

3. ნებართვის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

I. სამსახურის გამო წარგზავნილებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო ხელისუფალთა მოწმობა მივლინების შესახებ ორ ცალად, მივლინების მიზნის აღნიშვნით.

II. პირადი მიზეზების გამო მიმავალმა უნდა წარმოადგინოს: ა) სათანადო სახლის კომიტეტის მოწმობა პირადობის და წასვლის მიზანის შესახებ და თან მოწმობაში უნდა იქნეს აღნიშნული არის თუ არა სახელმწიფო სამსახურში; თუ კი ნებართვის მთხოვნელი პროფესიონალურ კავშირში ირიცხება, მაშინ კავშირიდან უნდა წარმოადგინოს მოწმობა, რომ გასვლის დამამბრკალებელი მიზეზი არ არსებობს. ბ) ვიზა ან მოწმობა სახელმწიფოს საკონსულოსი, რომლის საზღვრებში გადასვლა უნდა ნებართვის მთხოვნელს.

შენიშვნა: მოსწავლე, რომელიც მიღის სწავლის გასაგრძელებლად, ვალდებულია, ამას გარდა, წარმოადგინოს მოწმობა წასვლის მიზნის შესახებ, განათლების სახალხო კომისარიატიდან.

4. ც. კადან და თ. კომ. პარტიის კომიტეტის მიერ მივლენილ პირებს, ნებართვა ეძლევათ რიგს გარეშე.

5. თბილისის ჩამოსულნი მივლინებით ვალდებული არიან 24 საათს განმავლობაში მართველობის განყოფილებაში მოახდინონ რეგისტრაცია რომ ისინი ჩამოვიდნენ და მიიღონ დაბრუნებისას ვიზა.

6. ცხადი ყალბი ცნობის საშუალებით მოწმობების მიცემაში დამნაშავენი, სასტიკ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რევოლიუციონური დროის კანონებისა.

ქალაქის რევიკომის მართველობის განყოფ. გამგე რევიკომის წევრი ანანოვი. საერთო აღმინისტრაციული

ქვეგანყ. გამგე ახვლედიანი.

1921 წ. 4 მაისი.

ქ. თბილისი.



# შ ბ ა ბ ი

რაზმის რეზერვისა ს. ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციისა.

დამატებით დეკრეტი № 26, შტატი № 4 (იხ. დეკრეტი № 26 „შოაშბე“ № 3)

	მანამსა- სურვი.	ცანები
<b>1. რაზმის სამმართველო</b>		
რაზმის უფროსი	1	1
რაზმის უფროსის თანაშემწე	1	1
რაზმის მწე	1	1
ადიუტანტი	1	1
საქმის მწარმოებელი	1	
მოლარე	1	
ეკიმი	1	1
იარაღის გამგე	1	1
იარაღის მოხელე	1	
უფროსი დამკვრელი (კაპელმეს.)	1	
<b>ს უ ლ</b>	<b>10</b>	<b>6</b>
<b>2. გუნდი (4).</b>		
გუნდის უფროსი	4	
მისი თანაშემწეები	8	
<b>ს უ ლ</b>	<b>12</b>	
<b>წითელ არმიელები</b>		
ზემდეგი	4	
უფროსი თანამშრომელი	20 <sup>1)</sup>	
უმცროსი თანამშრომელი	36 <sup>2)</sup>	
თავმდეგი	36	
წითელ-არმიელი,	384	
მებუკე	4	
<b>ს უ ლ</b>	<b>484</b>	
<b>3. ტყვიის მტრქვეველი გუნდი</b>		
გუნდის უფროსი	1	1
მისი თანაშემწე	2	
უფროსი თანამშრომელი	2	
უმცროსი	5	
ზემდეგი	1	
თავმდეგი მევაზნე	8	
წითელ არმიელები	40	
სავაზნე ორთულა	4	4
მებუკე	1	
<b>ს უ ლ</b>	<b>64</b>	<b>5</b>

1) ოთხი მათგანი მეკუჭნავეები გუნდში.  
2) ოთხი მათგანი იარაღის მეკუჭნავე გუნდში.

გუნდში იქმნება რვა ტყვიისმტრქვეველი.

<sup>1)</sup> შესწორება დეკრეტი № 26 და შტატი № 4: „ცხენოსანი რეზერვი ქ. ტფილისის მილიციისთან გაუქმებულ იქვს. ქალო პირადი შე-  
მაჯგნელობა, ცხენები და ქონება, გადაეცეს ს. ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა მილიციის რაზმის რეზერვის უფროსს.





# სამხედრო-საზღვაო კომისარიატი

ს. ს. ს. რ. სამხ. საზღვაო კომისარიატისადმი პრძანების № 35 დანართი.

## ი ნ ს ს რ უ ქ ი ი ა

1) ყველა ჯარების ნაწილობა, როგორც საზღვაო საწილო მსხვერ და წარმოი ახორციელებს, აგრეთვე ყველა დაქვემდებარებული დასახლებიდან, თუ დასახლებიდან ან იყო ქოთახიდან ან ციხიდან ჰიროსიდან, გაშრობილი ტყავები უსათუოდ უნდა ჩააბარონ საქართველოს საზღვაო სამეურნეო საბჭოს სატყავე განყოფილებაში.

2) ტყავი უნდა იყოს გაძრობილი გაუქრეოდ, დამარილებული (დამარილებლის დროს უნდა იხმარონ 5 გირე.-15 გირე. მარილი თითო ტყავზე ზომის და მიხედვით) გაშრობილი და დაქვილი კისრიდან შეიგნით. თუ გაშრობა ტყავისა შეუძლებელი იქნება, მაშინ თითოეული ტყავი დამარილების შემდეგ, უნდა იყოს დაქვილი წიგნაკსადით, ან სახვეჯული მილისადით, ბაღით გარდაც და გადაქერილი კანაფით, რომ მარილი არ გამოიძინოს.

დაქვილის დროს საჭირო არის ჰქონდეს საყოფიერი მარილი იმ ადგილებში, სადაც ხელით მისწოდება. თუ ტყავის დამარილება შეუძლებელია, მაშინ შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გამოშრობილი ჰარზიდ ამ შემთხვევაში უნდა იხმარებოდეს ხის ჯოხები, რასაც ბოლოები უნდა ჰქონდეს ტყავის, და გაშრობის დროს საჭირო არის ვისწორება პატარა პალაქის საშუალებით.

სველი-მოაშე ტყავები მის დამარილებაზე უნდა იყოს დალაგებული ხის ხარახებზე პატარა სტოპკებში, რომ არ დასკდეს და დრო გამოშვებით ალაგი ეკვალოს.

3) დაქვილი (ახორციელებიდან გამძვრალ ტყავებს კუთხან უნდა ჰქონდეს დამოლო საგანგებო ნიშანი, რომელიც უნდა იყოს ნაჩვენები აქტში საკლავ საქონლის გასარჩევად და თვითონ ტყავი უნდა ინახებოდეს ცალკე. დასაგროვილ ადგილებში გადაჩანის დროს უნდა იყოს შექერილი ქილოებში ან ტომრებში და გადახვეული თოკით.

4) როგორც საკლავ საქონლის, ისე დაქვილი ცხოველებიდან გაშრობილი ტყავებიდან უნდა შესდგეს აქტი 4 ეზეპულიარად, ერთი ეზეპულიარი რჩება ნაწილის საქმიებში, ორი ეზეპულიარი იგზავნება უწყებით და სხვა დოკუმენტებით ტყავის გასაგზავნათ, ტყავების განყოფილებაში ან ხელოვნურილით ექვეყნა ერთი ეზეპულიარი ტყავების მიმღებს, ხოლო მეორე იგზავნება თოსკით და მეოთხე ეზეპულიარი გასამართლებელ საბუთებში ეგზავნება კონტროლს.

აქტში უნდა იყოს ნაჩვენები:

1) რომელი ცხოველიდან არის გაშრობილი ტყავი დაქვილი თუ საკლავ საქონლიდან. თუ დაქვილისა არის რა მიზეზის გამო.

- 2 ცხოველის დასახელება.
- 3 ფერი.
- 4 ტყავის წონა.
- 5 აქტს თუ არა გაქრილი ადგილი გატყავებული ტყავის, რამდენი ან რომელი ადგილის ესე იგი, ზურგში თუ წელში.

6. დამარილებული არის გამძვრალი ტყავი თუ გამშრალია.

7. რამდენი გარგანქა არის ნახმარი მარილი დასამარილებლად.

8) თუ დაქვილი (ახორციელებიდან ან იყო გამძვრალი ტყავი მაშინ ამაზიო უნდა იყოს საბოლოო მეთვალყურეების ჩვენება, ურომლისათვის აქტს არ ექნება ძალა.

6) ტყავის (კოთათ გაქრებაზე ი. ი. დიქვა, დახევა, დაცვა, დამარილება სილი საქონლის დასაგროვ ადგილზე, პასუხისმგებლობას ეწევა სამეურნეო ნაწილის თვროსი.

7) თუ ჯარების ნაწილები ხორცის დამარილებულ მოიჯარადრისაგან, მაშინ უნდა აქტი უნდა გადგინდეს ნაწილებს უნდა ჩააბარონ აგრეთვე ტყავი/მოიჯარადრისაგან მიღებული ტყავი უნდა იქნეს შედგენილი კომისიის აქტი, რომელიც უნდა ნაწილიდან, უსათუოდ ნაწილის სამეურნეო უფროსის შემადგენლობით.

მოიჯარადრის მიერ ჩაბარებული დასარილი, დაქვილი და ცურათ დამარილებულ ტყავების და საერთოდ უნდა იყოს. რომელიც ნაწილით თასობს, მიღების დროს უნდა იქნეს შედგენილი აქტი, აგრეთვე ტყავის წახდენაზე მოიჯარადრისაგან უნდა იყოს დაქვილი დირიუთობების სრული თასი რომელიც კარგ ტყავის ბაზის თასობაში, და წამდარი ტყავი უნდა იყოს მიღებული ანაზოთარებლად და ჩაბარდეს ტყავის განყოფილებას, სადაც მოიჯარადრისაგან ტყავის მიღების დროს უნდა იყოს მოთხოვნილი, რომ ტყავიდან ამოქრილი იყოს ხორცი და ქონი, რქები და რუჩები და ჩასამარილი ტყავი უნდა იყოს კუდით, სარიდანაც ამოღებული უნდა იყოს კანაჩელა. მშრალი და სუფთა.

8) ტყავებს განყოფილებიდან გამოგზავნილი ტყავი, მიიღება განსაკუთრებულ აქტივით. რომელის ასლიც მისაღებ კიბანკით ეგზავნება ჯარის ნაწილს. რომელიც გამომგზავნა ტყავი.

9) ტყავი უნდა გაიგზავნოს საქართველოს სახალხო სამეურნეო სატყავი განყოფილებას მისამართით: ვორონცოვის ქუჩა № 44 (ი-ნ სიანი).

სატყავე განყოფილების გამგი ჩილიძე.

საქვის მწარმოებელი დანილევისკი.

31 მარტი 1921 წ.

## პრძანება № 35

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. ვინაიდან იუცილებელ საქიროებს წარმოადგენს ს. ს. ს. სახედრო-საზღვაო სახალხო

კომისარიატის ნაწილების და დაწესებულებების სამწყობრო და ადმინისტრაციულ-სამწეო ნაწილების პიროვნულ შემადგენლობის ვარგისობის გამორკვევა, ამიტომ მთავარ შტაბთან არსდება საანკეტო საატესტაციო კომისია შტაბის სამხედრო კომისრის თავმჯდომარეობით და სამწყობრო განყოფ. უფროსის, პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და განსაკუთრებულ კომისიის წარმომადგენლების წევრობით.

§ 2. კომისიას ეკისრება განხილვა ადმინისტრაციულ-სამწეო და სამწყობრო ნაწილების მთელი შემადგენლობის, როგორც უკვე მიღებულ, ისე ახლად მისაღების სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ნაწილების და დაწესებულებების სამსახურში.

§ 3. აიკმალოს შემდეგში ადმინისტრაციულ-სამწეო, მწყობრივი ნაწილების პიროვნულ შემადგენლობის მიღება ქ. თბილისში მდებარე ნაწილებსა და დაწესებულებებში, თუ ამის შესახებ წინასწარი დადგენილება არ იქნება საანკეტო-საატესტაციო კომისიის.

§ 4. საანკეტო-საატესტაციო კომისიას ევალება ჩეხერვის, მთავარ შტაბის, მთავარ სამხედრო-სამწეო სამმართველოს, მთავარ საარტილერიო სამმართველოს და მთავარ სამხედრო საინჟინერო სამმართველოს პიროვნულ შემადგენლობის განხილვის შემდეგ, განიხილოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის სავა ყველა დანარჩენი ქ. თბილისში მდებარე ნაწილები და დაწესებულებები, რის შემდეგ ვადატანოს თავის მოქმედება რესპუბლიკის სხვა საოლქო და სამაზრო ქალაქებში, სადაც სწორედ ამავე წესით უნდა აწარმოვოს ამომწურველი გადასინჯვა.

§ 5. საანკეტო-საატესტაციო კომისიის უარყოფა სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის სამსახურში მიღებაზე საბოლოოა და არ განისახივრება.

§ 6. საანკეტო-საატესტაციო კომისიის მოქმედებანი გავრცელებული იქნას მთავარ შტაბზე, მთავარ სამხედრო სამწეო სამმართველოზე, მთავარ საარტილერიო სამმართველოზე, მთავარ სამხედრო საინჟინერო სამმართველოზე და აგრეთვე დაბალ ტენიკურ პერსონალზეც; ვადაწერებზე, მედიკურ რეგებზე მემანქანებზე და სხვ. ტენიკოსებზე, ტელეგრაფისტებზე და სხვა მე-მ-მე-ნ-თე ხარისხის თანამშრომლებზე.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი, გენერალური შტაბისა **ვახაშვილი**

6 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი

**ბრძანება № 38**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბისადმი.

ცხადდება ცნობად და აღსარულებლად ინსტრუქცია საქონლის ახალ ტყავების მიღებაზედ; შემუშავებული სახალხო სამეურნეო საბჭოს სატყავე განყოფილების მიერ. **დანართი:** ინსტრუქცია.

სამხედრო-საზღვაო სახალხო საქმეთა კომისრის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა **ვახაშვილი.**

**ბრძანება № 39**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

ამასთანავე ვაცხადებ ცნობად და სახელმძღვანელოდ საქართველოს რევკომის დეკრეტის ასლს № 2 26 თებერვლიდან.

**ასლი:** „1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციონურმა კომიტეტმა დაადგინა.

ა) მოხდეს საერთო დემობილიზაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და ამ მუხლში აღნიშნული არმია და სახალხო გვარდია დათხოვილ იქნეს.

ბ) ამ დეკრეტით დათხოვილ არმიასა და სახალხო გვარდიას ევალებათ ყოველი სახელმწიფო ქონება და სამხედრო იარაღი და მასალა ჩააბარონ სახელმწიფო საწყობებში სალიკვიდაციო კომისიების საშუალებით, რომლებიც დაარსებულ იქნებიან სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარის ბრძანებით.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ორახელაშვილი**

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი **შ. ელიავა**

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **კვანტალიანი.**

უფროსი გენერალური შტაბისა **ვახაშვილი.**

7 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი

### ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 41

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. სამხედრო-საზღ. სახალხო კომისარიატისადმი № 11 ბრძანების § 2 ა. წ. 17 მარტიდან გაუქმებულია.

§ 2. ვბრძანებ შეჩერებულ იქნას სამაზრო კომისარიატებთან ცალკე გუნდების და ასეულების შედგენა.

§ 3. პირადი შემადგენლობა და ქონება სამაზრო სადარაჯო გუნდების და ცხენოსან ასეულებისა იქნან გადარიცხული სათანადო საგუბერნიო სადარაჯო ათასეულების შესადგენათ.

§ 4. შედგენა უნდა მოხდეს თანაბარ დართული შტატებისა. დანართი: შტატები სადარაჯო ათასეულისა.

სახალხო სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრის მოადგილე **კვანტალიანი**, შტაბის უფროსი, გენერალურ შტაბისა **გაბაშვილი**  
10 აპრილი 1921 წელი ქ. თბილისი.

### ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 42

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. შეწყვეტილ იქმნას ს. ს. ს. რ. ჯარების ნაწილების, სამხარეთელოების და დაწესებულებების შესადგენათ მოხალისეთა მიღება.

§ 2. 21 მარტის თარიღით ჩემი ბრძანება № 2-ს დასამატებლად უბრძანებ ყველა საგუბერნიო და სამაზრო სამხედრო კომისრებს დაუყონებლივ მიიღონ სასტიკი ზომები ყველა 1899 და 1900 წლებში დაბადებულთა ს. ს. ს. რ. წითელ ლაშქარში დასაბრუნებლათ.

აღნიშნულ ვადის ვალდებულნი უნდა გამოცხადნენ სათანადო საგუბერნიო სამხედრო კომისრებთან.

თბილისის გუბერნიის მცხოვრებნი უნდა გამოცხადნენ თბილისის მაზრის კომისარიატის განკარგულებაში.

§ 3. გუბერნიის კომისრებთან გამოცხადებული სამხედრო ვალდებულნი უნდა დაუყონებლივ გაგზავნილ იქმნან გუბერნიის საზღვრებში ახლად შესადგენ ნაწილებში სპეციალობის მიხედვით.

სახალხო სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრის მოადგილე **კვანტალიანი**, შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის **გაბაშვილი**,  
10 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი

### ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 44

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

ვაცხადებ ცნობად და აღსასრულებლად, რომ ყოველი ჯარის ნაწილი ან დაწესებულებანი, რომლისათვისაც საჭირო იქნება საარტილერიო საწყობიდან რაიმე საარტილერიო საგნების მიღება, ვალდებულნი არიან წარადგინონ მოთხოვნილებანი მთავარ საარტილერიო სამმართველოში ამასთანავე დართულ ფორმის თანახმად 3 ეკზემპლიარად.

დანართი: ფორმა.  
სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **კვანტალიანი**, შტაბის უფროსი, გენერალურ შტაბისა **გაბაშვილი**.  
10 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი

### ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 45

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი

§ 1. ყველა სამხედრო მოსამსახურეებს ჯამაგირი მიეცეს თავში ოჯერ: ყოველი თვის 1 და 15 რიცხვებში, ნახევარი თვის ვასვლისას. არავითარი ავანსი არ უნდა გაიცეს და ყურადღება უნდა მიექცეს, რათა ჯამაგირი რიგდებოდეს თავის დროზე. ყველა ის, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, მიცემულ იქნება სასტიკ პასუხის გებაში.

§ 2. ყველა თანამშრომლები, — სქესის განურჩევლად, თავის ნებით შემოსული სამსახურში, სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატის უწყების სამწყობრო ნაწილებში, შტაბებში, სამმართველოებში და დაწესებულებებში ითვლებიან სამხედრო მოსამსახურეებად და არც ერთს მათგანს არ შეუძლიან თავის სურვილისამებრ დასტოვოს სამსახური. გამოწაკლის შესადგენენ მხოლოდ ის პირნი, რომლებიც ცნობილი იქნებიან სამხედრო სამსახურში უვარგოსად ჯანმრთელობის მხრივ.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **კვანტალიანი**, შტაბის უფროსი, გენერალური შტაბისა **გაბაშვილი**  
11 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 46

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. ვაცხადებ ცნობისათვის რომ: 1) მთავარი საარტილერიო სამმართველო შედგენილია და შეულგა მუშაობას ამა წლის 2 აპრილს.

ცნობა: მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსის პატაკი 2 აპრილის თარიღით № 400. 2) მთავარი სამხედრო საბეითლო სამმართველო და სამხედრო საბეითლო სამკურნალო შედ-



გენილია და შეუდგ. მუშაობას ა. წ. 2 აპრილს.  
ცნობა: მთავარი სამხედრო საბეითლო სამმართველოს უფროსის პატაკი ა. წ. 2 აპრილის თარიღით. № 81.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე კვანტალიანი გენერალური შტაბის უფროსი გაბაშვილი. 11 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ქ ა ნ ე ზ ა № 47.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. სამხაზიან ვინტოჯკების უქონლობის გამო ვბრძანებ: ყველა სამ ხაზიან ვინტოჯკი, რომელიც იმყოფება მილიციის შესაიარაღებლად და აგრეთვე სხვა არა სამწყობრო ნაწილებში და რაზმებში, შეიცვალოს „ბერდანის“ თოფებით. მთავარ სარტილერიო სამმართველოს ევალება ეს ბრძანება მოიყვანოს სისრულეში მოკლე ხანში და შესრულებისას გაცნობოს.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა. შტაბის უფროსი, გენერალურ შტაბის გაბაშვილი. 11 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ქ ა ნ ე ზ ა № 49.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. რამატებათ ჩემ ბრძანებისა 5 აპრილიდან თარიღით № 36 ვაუწყებ ყველა ჯარის ნაწილებს, სამმართველოებს და დაწესებულებებს, რომ დღიდან მათი დაარსებისა სურსათისა და ცხენების საკვების მოთხოვნის დროს აუცილებლად დასრულონ ზემოაღნიშნული ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი ამ ბრძანების დარღვევაში და აუსრულებლობაში მიცემულნი იქნებიან სასტიკ პასუხის გებაში.

§ 2. ჯარის ნაწილები ს. ს. ს. რ. ვალდებული არიან სურსათის და ცხენების საკვების მოთხოვნილობების წარმოადგენის დროს მოიქცნენ ქვემოლ ნაჩვენებ წესით.

თავითურთ ჯარის ნაწილს შეუძლიან მოითხოვოს სურსათ-სანოვაგე და ცხენების საკვები, მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაცემულ იქნება ბრძანება ნაწილის დაარსებისა და მის ყოვლილგვარ კმაყოფილებას ჩარიცხვისა სამხედრო კომისარიატთან ს. ს. ს. რ.

§ 3. სურსათ-სანოვაგის და ცხენების საკვების მოთხოვნილობები უნდა დაწერილ იქნეს ჩეკის წიგნაკის ბლანკზე, რის შემდეგ უნდა წარმოადგინოს სამხედრო სამნეო სამართველოს ჩვენებით, თუ რამდენ ვაჭზე და რა დროისთვის არის საჭირო სურსათი. ჩეკის წიგნაკი აუცილებლად უნდა იქმნეს მიღებული სამხედრო სამნეო სამართველოდან.

§ 4. ყველა მიღებული სურსათ-სანოვაგე და ცხენების საკვები ჯარის ნაწილის მიერ უნდა ვატარებულ იქმნეს ბრძანებაში და შეტანილი საანგარიშო ფურცლებში.

§ 5. ყველა ჯარის ნაწილნი ვალდებული არიან თვის ბოლოს წარმოადგინონ მოკლე ამონაწერი საანგარიშო ფურცლებიდან მთავარ სამხედრო-სამნეო სამართველოში.

ს. ს. ს. რ. სახ. სამ საზლ. კომისარის მოადგილე: კვანტალიანი. შტაბის უფროსი, გენერალურ შტაბისა ა. გაბაშვილი. 12 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ქ ა ნ ე ზ ა № 50.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

ამასთანავე ვაცხადებ ცნობისათვის და უსათუო სახელმძღვანელოდ სიას ტანისამოსისა, საცვლებისა, ფეხსაცმელების, რომელიც ვძლევ ვაწვდელ რაზმელებს, ან ნივთების სამსახურის ვადის აღნიშვნით.

№. რიცხვი	სიას ტანისამოსისა, საცვლებისა, ფეხსაცმელების	ნ ი ვ თ ი
1	მაუდის ხალათი ზამთრ.	1
2	„ შარვალი ზამთრისა.	1
3	მაუდის მაზარა.	3
4	ქუდი მაუდისა.	2
5	ფაფახი.	3
6	საზაფხულო ხალათი.	1
7	„ შარვალი.	1
8	წაღები.	1
9	ბათინკა.	1
10	წვივისახვევი ზამთრისა.	1
11	„ ზაფხულისა.	1
12	პერანგი.	1
13	პერანგის ამხანაგი.	1
14	ფეხსახვევი.	1
15	წინდა.	1
16	ცხვირსახოცი.	1
17	პირსახოცი.	1
18	ჩარსავი (ლეიბის პირი) ქვეითა.	3
19	ბალიშის პირი ქვეითა.	3
20	ჩარსავი (ზეწარი).	1
21	ბალიშის ზედაპირი.	1
22	საბანი.	3
23	ჩანთა (საბარგო თოფრა).	6
24	ტყვიის ჩანთა (გულზე ვასაკრავი).	6
25	ტყვიის ჩანთა.	12
26	ქამარი.	10
27	თოფის თასმა.	10
27	რევოლვერის ბუდე.	8
20	ქვაბი სადილისა პატარა.	უცალო
30	კულა (ფლიაგა).	უცალო



ვუბრძანებ ყველა სამხედრო ნაწილთ, სამმართველოებს და დაწესებულებებს. მათი დაარსების დღიდანვე სასტიკათ აღევნონ თვალყური ამ ბრძანების ასრულებას, ვინაიდან დამრღვევნი ამისა მიცემული იქნებოან პასუხის გებაში და დაისჯებიან კანონის მთელი სისასტიკით.

**შენიშვნა:** ნახმარ ნივთების ყველი შესაფერისად შემოკლებულ უნდა იქმნას იმდენი ხნით, რამდენ ხანსაც იგი იყო ხმარებაში.

§ 2. ს. ს. ს. რ. ყველა სამხედრო ნაწილებმა ტანისამოსის, საცულების, ფეხსაცმელების, მოკაზმულობის და საბარგეულობის მოთხოვნის დროს უნდა იხელმძღვანელონ ქვემო მოყვანილ წესით:

ყველა ნაწილს შეუძლიან მოითხოვოს ნივთები მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გაცემული იქნება ბრძანება ამ ნაწილის დაარსებისა და ყოველნაირ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სამხედრო კომისარიატში ჩარიცხვის შესახებ. ნივთების გაცემის მოთხოვნილება შედგენილი უნდა იყოს სამ ეტაპში: პირველ სათანადო პირთა ხელის მოწერით წარედგინოს მთავარ სამხედრო სამწევო სამართველოში.

ყოველ პირველ მოთხოვნილებასთან დართულ უნდა იყოს შემოწმებული ასლები ნაწილის დაარსების ბრძანებისა, დამტკიცებულ შტატისა და სია წითელ რაზმელებისა, რომელზედაც გამოითხოვება ნივთები.

ყოველი მიღებული ნივთი ნაწილმა უნდა ჩარიცხოს შემოსავალში განსაკუთრებული ბრძანებით და გაატაროს ის შემოსავალი საქონლის დაფთვარში.

§ 3. წითელ რაზმელს ნივთის გაცემისთანავე უნდა მიეცეს პირადი წიგნაკი, რომელშიაც გუნდის უფროსი თვითონვე ჩასწერს გაცემულ ნივთს და აღნიშნავს ამ ნივთის სამსახურის ვადას.

§ 4. თუ წითელი რაზმელი გადაყვანილი იქნება ერთ ნაწილიდან მეორე ნაწილში, ან ხანგრძლივ რაიმე ნაწილში, მას ეძლევა მასზე მყოფ ნივთების ნუსხა (арматурный список), რომელშიაც დაწვრილებითაა აღნიშნული რა ნივთები მიჰყვება წითელ რაზმელს, როდის მიიღო მან ეს ნივთები და რა ვადიანი არიან ეს ნივთები.

ს. ს. ს. რ. სამხედრო საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა **გაბაშვილი.**

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 51

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.**

§ 1. შტაბის სამწყობრო განყოფილების გაუქმების გამო, თანახმად ახალი წარგანიზაციისა. სამწყობრო განყოფილების უფროსი ამხ. ბლაგო-

ვეშენსკი ვლადიმერი ინიშნება შტაბის უფროსად მინდობილობისათვის.

§ 2. ამხ. ბლაგოვეშენსკის ვაგალეზ მიიღოს მონაწილეობა საანკეტო საატესტაციო კომისიაში, როგორც სარდლობის წარმომადგენელს.

სამხ.-საზღვ. სახალხო საქმეთა კომისრის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა **გაბაშვილი.**

14 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 52

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ-რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.**

§ 1. ვუბრძანებ ყველა ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატის შტაბის განყოფილების უფროსებს, ჩემს უწყებაში მყოფ დაწესებულებებს და წითელ ლაშქრის ნაწილების უფროსებს, რათა საჩქაროდ შედგენილ და წარმოდგენილ იქმნას, მატერიალური ბარჯთ-აღრიცხვანი ა. წლ. პირველ ივლისამდე საჭირო საკანცელარიო და საწარმოებელი მასალისა, იარაღისა, ფაბრიკატების და სხვა, რომელიც საჭირო არის სამხედრო დაწესებულებათათვის და ნაწილებისათვის.

**ც ნ ო ბ ა:** პატაკი სამეურნეო მთავარი საბჭოს თავმჯდომარისა 25 მარტიდან № 1557.

კომისრის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი, გენერალური შტაბისა ა. **გაბაშვილი.**

7 აპრილი, 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 63

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.**

ვაცხადებ სახელმძღვანელოდ, რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შეიდეგი ახლად შედგენილ წითელი ჯარის ნაწილები, ჩარიცხულნი არიან ყოველგვარ კმაყოფაზედ მთავარ სამხედრო სამწევო განყოფილებაში, სახელდობრ:

1. პირველი მსროლელი მუშათა და გლეხთა წითელი რაზმი.
2. შესამე მსროლელი მუშათა და გლეხთა წითელი რაზმი.
3. სამხედრო-საზღვაო სახალხო საქმეთა კომისარიატი.
4. თბილისის საკომუნდენტო სამმართველო
5. სამხედრო ქონებათა აღრიცხვის საგანგებო კომისია.
6. საკავშირო გუნდი
7. თბილ. სამხედრო საბეითალო საავადმყოფო



- 8. „ „ საბევითალო სამმართველო.
- 9. „ „ საბარგო და საავეჯო საწყობი
- 10. 1-ლი წითელი მუშათა და გლეხთა ცხენოსანი რაზმი
- 11. მთავარი საინჟინერო საწყობი
- 12. საინჟინერო სამმართველო
- 13. თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი
- 14. სამხედრო ფეხსაცმელების სახელოსნო
- 15. ავტო-ჯავშნიანი რაზმი
- 16. სამხედრო სასპორტო განყოფილება საყოველთაო სამხ. სწავლებისა
- 17. განსაკუთრებული საავტომობილო გუნდი
- 18. სამხედრო ავიაცია
- 19. სამასალო საწყობი
- 20. სამხერხაო ქარხანა
- 21. საინჟინერო სატეხნიკო განყოფილება
- 22. ცენტრალური სამხედრო საბინაო დისტანცია

23. თბილისის სასურსათო საწყობი  
 რაც შეეხება იმ ერთეულებს, რომლებიც არ არიან მოხსენებრნი ზემოდ და შედიან კი საქართველოს წითელ ლაშქარში, მოვალენი არიან ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა. გამოცხადენ აღსარიცხვად მთავარ სამხედრო სამხეო სამმართველოში (კმაყოფაზედ ჩასარიცხად), რისთვისაც უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები, ე. ი. ბრძანება ერთეულის დაარსებისა, შტატები და სხვა.

ესევე მოვალენი არიან აღირიცხონ საქართველოს წითელი ლაშქრის ის ნაწილები, რომლებიც შესდგებიან შემდეგში.

სახალხო სამხედრო და საზღვაო კომისარის მოადგილე **კვანტალიანი**  
 შტაბის უფროსი, გენერალურ შტაბისა **გაბაშვილი**

22 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 69

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. ა/წ. 10 აპრილის № 42 სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს მიმართ ბრძანება 1899 და 1900 წლებში დაბადებულთა სამსახურში დაბრუნების შესახებ ზოგიერთ დაწესებულებების უფროსებს გაუგიათ როგორც მობილიზაციის გამოცხადება.

ვაცხადებ სისწორით სახელმძღვანელოთ, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობას ჯერ არავითარი მობილიზაცია არ გამოუცხადებია და თუ რომელიმე დაწესებულება შეცდომით აწარმოებს მობილიზაციას დაუყონებლივ შეწყვიტოს ის.

ზემოაღნიშნულ № 42 ბრძანების შესასრულებლათ კი რომელიც ეხება მხოლოდ ზემოაღნიშნულ წლებში დაბადებულების სამსახურში დაბრუნებას, მიღებულ იქნეს მკაცრი ზომები.

§ 2 ვუბრძანებ წითელ არმიის ყველა ერთეულების და დაწესებულებების უფროსებს, შეუდ-

გენ უვადო შეგებულებაში დათხოვას იმ 1898 წ. დაბადებულ და უფრო ადრე წითელ არმიელებისა რომლებიც თანახმად ამა წლის 21 მარტის № 2-ა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართ ბრძანებისა, ამ ეპოქა იმყოფებიან წითელ არმიის ერთეულებში და დაწესებულებებში.

შეგებულებაში დათხოვა დაწყებულ იქნას წლოვანობის მიხედვით უფროსებიდან (1896 წლიდან) და მოხდეს თანდათანობით სამხედრო ვალდებული 1899 და 1900 წლებში დაბადებულთა სამსახურში გამოცხადების მიხედვით, ამასთანავე მიღებული უნდა იქნას მხედველობაში რომ შეგებულებაში დათხოვნამ არ მიაყენოს ზიანი სამსახურს.

გარდა ამისა ვადასტურებ, რომ დაბალ ხარისხის მეუფროსეთა შემადგენლობა და აგრეთვე ტყვისმფრქვეველებზე მომუშავენი, დამპიზნებელნი, ტელეფონისტები და სხვა ტეხნიკური კადრი, რომელნიც № 2-ა ბრძანებით დატოვებულნი იყვნენ სამსახურში არ უნდა იქნან დათხოვნილი შეგებულებაში.

სამხედრო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მაგირ **ე. კვანტალიანი**.

შტაბის უმფროსი გენერალური შტაბის **ა. გაბაშვილი**.

25 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 71

ს. ს. ს. რ. სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი

§ 1. სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც აქვს სასროლი იარაღი მოვალეა მიიღოს ნებართვა იარაღის ტარების და შენახვისა.

§ 2. იარაღის ტარების უფლება აქვს: ნაწილგების სამწყობრო მთელ შემადგენლობას ოცეულის უფროსიდან დაწყებული; სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის სამმართველოს და დაწესებულებების იმ თანამშრომლებს, რომელთაც უნდებათ ფულის, საიდუმლო საბუთების და რუკების გადატან-გადმოტანა და შენახვა; მთავარ სამმართველოების, შტაბის განყოფილებების უფროსებს, მათი თანაბარი თანამდებობის ადმინისტრატორულ სამხეო სამსახურის პირებს და მეტი თანამდებობის მინდობილობათა აღმასრულებელთ, მდივნებს, დივიზიის და ბრიგადის შტაბის უფროსებს თანაშემწეებს, გუბერნიის სამხედრო კომისარებს, სამხედრო ხელმძღვანელებს და მათ თანაშემწეებს.

§ 3. მოწმობებს ვაცემს ყველა ის, ვისაც აქვს ამაზე უფლება: ქ. თბილისში სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბი, საგუბერნიო ქალაქებში—გუბერნიის სამხედრო კომისარები, მაზრაში—მაზრის სამხედრო კომისარები, სამწყობრო მთელ შემადგენლობას—ცალკე ნაწილების უფროსები და კომისარები, დივიზიის და ბრიგადის შტაბის თანამშრომლებს—სათანადო შტაბი.

§ 4. იარაღის ტარების ნებართვის სისწორით და სანდო პირზე ვაცემ ს პასუხისმგებლობა ეკისრე-



ბა ნაწილებს და დაწესებულებების კომისარებს, რომლებიც გასცემენ მოწმობას.

§ 5. ნებართვა გაიცემა ერთი თვის ვადით, რის შემდეგ იგი უნდა განახლდეს წარწერით ან სრულად გამოცვლით.

სამხედრო საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილე კვანტალიანი.

შტაბის უფროსი, გენერალური შტაბისა ვაბაშვილი

25 აპრილი 1921 წ. ქ. თბილისი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 72

სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი.

§ 1. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი ა/წ. ნ. აპრილს თარღით გაიცემულ ბრძანების № 35 დამატებითი და გასათართობლად საანკეტო-საატესტაციო კომისიამ არა უგვიანეს ა/წ 10 მაისსა დაამთავროს ქ. ტფილისში, სამხ. საზღვაო სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციულ-სამწევო და სამწყობრო ნაწილების და დაწესებულებების შემადგენლობის განხილვა. აღნიშნულ ვადის განვლის შემდეგ ნაწილების და დაწესებულებების უფროსების და სამხედრო კომისრების პირადი პასუხის მგებლობით, არ უნდა დარჩეს არც ერთი პირი თანამშრომელათ, რომელსაც არ გაუვლია საანკეტო საატესტაციო კომისიაში.

ნაწილებს და დაწესებულებების საქმეებში უნდა ინახებოდეს ანკეტების ასლები საანკ.-საატესტაციო კომისიის დადგენილებით.

§ 2. სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის ნაწილებსა და დაწესებულებებს სამსახურში მიღების და იმ თანამდებობის განსაზღვრის შემდეგ, რომელიც დაეთმობა კომისიაში გატარებისას სამწყობრო და ადმინისტრ.-სამწევო შემადგენლობას, საანკეტო-საატესტაციო კომისია უნდა შეუდგეს თანამდებობის აღმასრულებელ პირების ვარჯისობის გამოარკვევას, გასული დროს განმავლობაში მათი ნამუშევარის და მათი პრაქტიკული ცოდნის გაცნობის ნიადაგზე.

საპირიოების და მიხედვით კომისიის შემადგენლობა შეიმოსოს მთ. საარტ. სამ. მთ. სამხ. საინჟ. სამ., მთ. სამხ. სამწევო სამ., შტაბის და სამხ. საინტ. სამ. მთ. სამხ. საინჟ. სამ., მთ. სამხ. სამწევო სამ., შტაბის და სამხ. სპეციალურა წარმომადგენლებით.

§ 3. ყველა ის პირი, რომელიც არ შეეფერება თანამდებობას გადაყენებული იქნება თავის ცოდნა-გამოცდლების მიხედვით. კომისიის დადგენილების გაპოტანის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაწესებულებების უფროსის და სამხედრო კომისიის დასკვნა, რომლებიც მოიწვევიან სხლომაზე ბჭოაში მონაწილეობის მიღების უფლებით.

სამხედრო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე კვანტალიანი.

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა ვაბაშვილი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 73

ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატისადმი.

§ 1. ყველა სამხედრო მსახურა მოვალე არის იქონიოს თან პირადობის მოწმობა, რომელიც შეეცემა უფროსის მიერ არა გუნდის უფროსზედ ხარისხით ნაკლებისა, ვადით არა მეტ ერთ თვეზედ

§ 2. შევბულებაში დათხოვნილ პირს ეძლევა საგანგებო ბარათები (სამხ დებ. № 11 დამატება) გაეცემული თანხმად მუხ. 237 1918 წ. შინაგან სამ. სახ. დებ. სატიკ დანამდილებულ ვადით.

§ 3. იმ პირთ, რომელნიც იგზავნებან სამსახურას გამო მიკლენილობაში ეძლევათ წინადადება დადებულ ნიმუშით, გაეცემული სასტიკ დანამდილებულ ვადის მიხედვით.

§ 4. დაევალოს ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც ჩამოდიან თბილისში ან ს. ს. ს. რ. სხვა ქალაქებში: ა) წარუდგინონ თავიანთი წინადადებები და შევბულების ბარათები საკომენდატო სამმართველოში, ან სადაც არ არსებობს ეს მაშინ სათანადო სამხედრო საქმ. თა კომისარიატებში; ბ) თავის დრაზედ აცნობონ ხაენებულ დაწესებულებებს ბინების გამოცვლაზედ შევბულების გაგრძელებაზედ (ავადყოფობაზედ) თუ ეს უშუაეს დაპრკოლებას მივლენილობიდან ან შევბულებიდან შემთხვევით დაგვანებაზედ მოვალენი არიან იქონიონ თავანთ მოწმობებზედ ნიშანი სამხედრო კომისარიატიდან, საკომენდატო სამმართველოდან ან რკანის გზის სადგურიბის კომენდატებიდან დაგვიანების მიზუხზედ. მოხსენებული პირები და დაწესებრლებები მოვალენი არიან გაუეთონ სათანადო ნიშნები; გ) იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურემ დაკარგა შევბულებას ბარათი ან მიწერილობა, მათ უნდა მაშმართონ დროებით მოწმობას მისაღებათ შემოხსენებულ დაწესებულებებს (მუხ. ა.)

§ 5. იმ ადგილებში სადაც არ არსებობს სამხედრო საქმეთა კომისარიატები, სამხედრო მოსამსახურენი თავიანთ ჩამოსვლაზედ შეატყობინებენ ხსენებულ ადგილებში და გამგზავრებაზედ შინაგან საქმეთა კომისარიატის მახლოველ ორგანოებს, რომელნიც განაგებენ მაკხოვრებლთა აღრიცხვით და წარუდგენენ ჩასაწერათ თავიანთ წინადადებას ან შევბულების ბარათს.

§ 6. იმ ნაწილებმა და დაწესებულებმა, რომელნიც განაგებენ მოწმობებით და საბუთებით ეკალეპათ უთვალყურონ შევბულებაში ყოფნის დროს სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ამ ბრძანების § 4. შესრულებაზედ.

მაეცეს ნება § 4 ხსენებულ სამხედრო სამმართველოების ადგილობრვ ორგანოებს მისცეს პასუხის გებაში, სასოფლო საბჭო, საბინაო კომიტეტები და სახლის პატრონები, იმ შემთხვევაში თუ მათდამა სათვალყურთა დასახლებულ ადგილებში, სახლებში შენობებში და სამხედრო მოსამსახურისა-



ხურის ბინებში, რომელთაც არ აქვთ საბუთები მოხსენებულ ამა ბრძანების 2—3 მუხ.

§ 8. გარნიზონის უფროსებმა დაარსონ უშუალო ზედამხედველობა, ყველა საექიმო კომისიების მოქმედებაზე, რომლებიც ამოწმებენ ჯარში გაწვეულ და სამ. მოსაძახ. ჯანმრთელობას. საჭიროების დიკვარათ ხსენებულ კომისიის შემადგენლობაში შემოღების გზით დაინიშნონ საგანგებო წარმომადგენელი.

ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარის მოადგილე კვანტალიანი.

გენერალური შტაბის უფროსი ა. გაბაშვილი.

### ბრძანება № 74.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

ვბრძანებ: ქართული წითელი არმიის კმაყოფის გაუძღვრებისათვის სააღდგომოთ პირველ ორ დღეს მიეცეს ყოველ წითელ არმიელს სახვავის ძთელი ულუფა, ღერძილის ბრინჯზე შეცვლით. ამასთანავე ყოველ წითელ არმიელზე დაძაღდეს ორ-ორი კვერცი ან სხვა აფასიდან.

ცნობა: მე—არმიის სურსათის მომარაგებელ უფროსის ტელეგრაფის ასლი 21 აპრილის თარიღით № 2387.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე კვანტალიანი.

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა გაბაშვილი.

### ბრძანება № 75

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

პაცნობებენ, რომ დიდიშენი რაიონში ძღვოში წითელი არმიელები დათესილ მინდორზე აძოვებენ ცხენებს. წინადადებას ვაძლევა ნაწილის უფროსებს დაუყონებლივ მიიღონ ზომები აღნიშნულ საზიანო გარემოების საწინააღმდეგოთ. დაინაშენენ ამ ბრძანების შეუსრულებლობაში დაისჯებიან რევოლიუციონურ კანონების სრული სისასტიკით.

თვალყური აღევნოს ამას გარნიზონის უფროსმა.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე კვანტალიანი.

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა გაბაშვილი.

26 აპრილი 1921 წ. ქ. ტფილისი.

### ბრძანება № 81

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1. საქმის წარმოების დასაჩქარებლად, გასაადვილებლად და საერთოდ მიმოწერის შესამცირებლად უნდა იყოს მიღებული სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. მიმოწერა, რომელიც საჭიროებს უზენაეს ინსტანციის განხილვას და მიმართულია მათ სახელზე მსვლელობით უფროსების ხელთა შორის აძიერიდან ან უნდა გადაიწეროს მოასენების ფორმის სახით ყოველთვის შუაპაველი ინსტანციის მიერ, არამედ წაიგდგინოს დედანი ზედწარწერით, რომელშიდაც მოყვანილი უნდა იყოს ძხოლოდ: ა) ახალი მოსაზრებანი და საფუძველი, რომელიც არ გაუთვალისწინებია წინააღმდეგ ინსტანციებს ან ბ) მოტყუებით დასაბუთებული საწინააღმდეგო პასუხი.

2. როდესაც კითხვები საჭიროებიან ს. ს. ს. კომისარის დატკიცებას, უკანასკნელ უზენაეს ინსტანციამ (მთავარ სამხარტველოებმა და სამართველოებმა) უნდა შეიმუშაონ ძთელი მასალა ამ კითხვაზედ ამომწურველ, მოტივებით თასაბუთებულ მოხსენების სახით და რაც შეიძლება ძოკლედ, მკაფიოდ და გადაჭრით. დასკვნისას ძოასაზოება გამოთქმული უნდა იქნას განსაზღვრულად.

3. დაბალ ინსტანციის მიერ წარმოდგენილი ქალაქი თუ საკარისად შემუშავებულია გასასხლეის და დასაბუთების ძხრივ და აზრი ძისი ეთანხმება საერთოდ მიღებულ ზომებს, მაშინ მთავარი სამხარტველოები წარუდგენენ მას სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარს შტაბის უფროსის საშუალებით, თანახმად ამ ბრძანებაში ძიღებულ წესის პირველი მუხლისი.

§ 2. ქალაქის ყაირათის გაწვევისთვის წინადადებას ვაძლევა სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ყველა სამხარტველოებს, ნაწილებს და დაწესებულებებს მიიღონ ენერგიული ზომები, რათა ქალაქის დაზარჯვა შემციოდეს მინიმუმამდის, რისთვისაც საჭიროა ხელმძღვანელობა და შესრულება შემდეგი წესის: 1) მიმოწერა სრულდგაოდეს ქალაქზე, რომლის ოდენობა არ უნდა აღეჭატებოდეს ნამდვილ საჭიროებას, ე. ი. ფურცლის ერთ ფოთზედ ან შერკვლზე; ამასთან შექანილი უვარგისი გარეგნული სახე ქალაქისა სრულიად არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, 2) შტამის ქვევით თავისუფალი ადგილი არ უნდა რჩებოდეს; ნორმები იმ ქალაქებს, რომელზეც იცემა პასუხი, ან რომლებს დამატებათაც იწერება ქალაქი— ისმება ტექსტის დასაწყისის ზევით, 3) გამოყენებული უნდა იქნეს ქალაქის ორივე გვერდი, 4) გადასაგზავნი წარწერა ხდება გასაგზავნ ქალაქების თავისუფალ ადგილებზე, 5) ერთი და იმავე დაწესებულების გახყოფილებათა შორის მიმოწერა შემციოდეს, 6) ბლოკნოტებისათვის და დასახი მხად გამოყენებულ იქნას დაბალი ღირსების ქალაქი, 7) პაკეტების ხმარება შემციოდეს; პაკეტები დაძაღდეს ძველი გაზეთებისა და გამოსახვევ ქალაქლები.

საგან. 8) შავი იწერებოდეს ნაქერ-ნახევ ქალაღ-  
დებზედ, რისთვისაც გამოყენებულ იქნას მთელი  
არსებული წიბი და ქალაღდი; ახალი ქალაღდი შა-  
ვისათვის ამიერიდან არავითარ შეფთხვევაში არ  
უნდა იხარჯებოდეს.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კო-  
მისარის მოადგილე **კვანტალიანი.**  
შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა  
**ვახაშვილი.**

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 82

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სა-  
ხალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1 ვაცხადებ ცნობისათვის და სახელმძღვანე-  
ლოდ შრომის კომისარიატის ცირკულიარის ასლს  
22 აპრილს თარიღით № 14.

**ა ს ლ ი:** აღდგომის უქმეების გამო მუშა-მო-  
სამაზურენი სამსახურიდანს რუღიად თავისუფლდ-  
ებიან 30 აპრილს (დიდს შაბათს) და აღდგომის  
პირველსა და მეორე დღეს— 1 და 2 მაისს.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო  
კომისარი **შ. ელიავა.**  
შტაბის უფროსი გენერალური  
შტაბისა **ა. ვახაშვილი.**

28. აპრილი, 1921 წ.  
ქ. ტფილისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 83

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სა-  
ხალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი

§ 1 საქართველოს საგანგებო კომისიასთან არსე-  
ბული განსაკუთრებულ დანიშნულებათა ათასეული  
ჩაითიცხოს კმაყოფაზე საქართველოს საბჭოთა სო-  
ციალისტურ რესპუბ. მთავარ სამხედრო სამწეო სა-  
მმართველოს მარჯაეში.

საფუძველი: ძე-XI არმიის სასურსათო სამმარ-  
თველოს სასურსათო ბაზის № 2 ატესტატი № 2838.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო  
კომისარი **შ. ელიავა.**  
შტაბის უფროსი გენერალური  
შტაბისა **ა. ვახაშვილი.**

30 აპრილი, 1921 წ.  
ქ. ტფილისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 84

ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო და საზღვაო  
კომისარიატისადმი.

§ 1 ყველა ყოფილი ოფიცრები გენერალუ-  
რი შტაბისა, რომლებმაც დაამთავრეს სავსებით ან  
შემოკლებული კურსები გენერალური შტაბის აკა-  
დემიის და ოფიცრები შემდეგი სასპეციალო დარ-  
გებისა: არტილერიის რეინის გზის, საპიორებისა,

ავიოსი, რადიოსი, აეტოსი, კავშირისა, ცენტრონი-  
სა და სხვა, რომლებიც არ ირიცხებიან ჯარში ან  
დაწესებულებებში სახალხო სამხედრო და საზღვაო  
კომისარიატისა, რომლებმაც არ გაიარეს საანკე-  
ტო—საატესტაციო კომისიაში ვალდებულნი არიან  
აღრიცხონ სამი დღის განმავლობაში სახალხო სამ-  
ხედრო და საზღვაო კომისარიატის შტაბში. შენო-  
ბა ყოფილ კადეტთა კორპუსისა. პირველი დღე  
აღრიცხვისა ინიშნება სამ მაისს ა. წ. საღამოს 5  
საათზე აღდგომობრივი დროით.

სახალხო სამხედრო და  
საზღვაო საქმეთა კომისარი **ელიავა.**  
შტაბის უფროსი  
გენერალური შტაბისა **ა. ვახაშვილი.**

28 აპრილი, 1921 წელი, ქ. თბილისი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 89.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბ-  
ლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალ-  
ხო კომისარიატისადმი.

ამისთანავე ერთად ვაცხადებ საქართველოს  
საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და  
გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ა. წ.  
18 აპრილის, № 2094 მომართვის ასლს—ცნობი-  
სათვის და სახელმძღვანელოთ:

**ა ს ლ ი:** ს. ს. ს. რესპუბლიკის მუშათა  
და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ხში-  
რად მოსდის ისეთი საქმეები, რომელიც მის გან-  
ხილვის საგანს არ შეადგენს, რაც იწვევს გაუგებ-  
რობას და საქმის გაჭიანურებას, რათა მოგლოს  
ბოლო ასეთ მოვლენას, მუშათა და გლეხთა ინს-  
პექციის სახალხო კომისარიატის საქმეთა სამმარ-  
თველო ვალად რატხს თავს, გაცნობით შემდეგი:  
ქ. თბილისში არსებობს მუშათა და გლეხთა ინსპ-  
ექციის სახალხო კომისარიატი, რომლის წინაშე  
ანგარიშ ვალდებულთა ყველა ცენტრალური დაწ-  
ესკულებანი და მასთან კიდევ ქ. თბილისის მუშ-  
ათა და გლეხთა ინსპექცია (ყოფილ ქალაქის თვით-  
მმართველობის შენობაში), რომლის წინაშე ანგარ-  
იშ-ვალდებულთა ქ. თბილისის რევკომის დაწესე-  
ლებანი, ამატომ საქმის სასურველ დონეზე დაყ-  
ნებისათვის და გაუგებრობის თავიდან ასაცილებ-  
ლად, უნდა მიემართოს ხოლმე იმ დაწესებულებას  
რომელსაც პირდაპირ შეეხება ესა თუ ის საქმე.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კო-  
მისარის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა **ვახა-  
შვილი.**

5 მაისი 1921 წ. ქ. თბილისი.



### ბრძანებები № 95

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

§ 1 ამასთანავე ვაცხადებ ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ საქართველოს რევკომის ცირკულიარის ასლს ა. წ. 20 აპრილს თარიღით № 2936.

**ა ს ლ ი:** რევკომში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი საბჭოთა დაწესებულებებს და აგრეთვე არმიის დაწესებულებებს განუსაზღვრელად მიაქვთ საწყობებიდან მომარაგების საბჭოს მიერ აღრიცხული ქალაქი უკნასკნელი. დაუკითხავად. ვინაიდან რესპუბლიკა განიცდის ქალაქის მწვევ კრიზისს, ამიტომ მთელი მომარაგებული ქალაქის წესიერად განაწილებისათვის წინადადება გეძლევათ, მომარაგების საბჭოს დაუკითხავათ არავითარ შემთხვევაში არ ისარგებლოთ ქალაქით და აგრეთვე სხვა საგნებით, რომელნიც აღრიცხულია და რომელიც უნდა განაწილდეს წესიერად აღნიშნულ საბჭოს მიერ.

ამასთანავე ვბრძანებ, ქალაქით ისარგებლონ დივიზიის ნაწილებმა დივიზიის საშუალებით, დანარჩენებმა — მთავარ სამხედრო სამხეო სამმართველოს საშუალებით.

სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის მოადგილე **კვანტალიანი.**

შტაბის უფროსი გენერალური შტაბისა **ვახაშვილი.**

6 მაისი 1921 წ.  
ქ. თბილისი.

### განათლების კომისარიატი.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

განათლების კომისარიატის ქვემდებარე სასწავლებლებსა და დაწესებულებებსა უფროსებს.

განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, კოლეგიის ნებადართვლად არც ერთ პირს და დაწესებულებას არ უნდა გადაეცეს, ან არ დაეთმოს თქვენდამი რწმუნებული შენობა და სხვა რაიმე ქონება.

ზემოაღნიშნულს გაუწყებთ საყურადღებოდ და აღსასრულებლად.

დირექტორი **ალ. მიქაბერიძე.**  
მდივანი **ი. ეპიტაშვილი.**

17 მარტი 1921 წ.

### სასწავლოდ სირკულარი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

სასწავლებლების დირექტორებს, უფროსებს და მმართველებს.

თანახმად განათლების კომისარიატის სასწავლო კოლეგიის დადგენილებისა სწავლა ტფალისის ყველა სასწავლებელში მომავალ ორშაბათიდან (21 მარტი) უნდა იწყებოდეს დილის 9 1—2 საათზე.

ამისდა მიხედვით სასწავლო კოლეგიას შესაძლებლად მიაჩნია გადიდებულ იქმნას ყოველდღიური გაკვეთილთა რიცხვი.

მთავარგამგე **მ. თაქთაქიშვილი.**  
მდივანი **ნ. ჩიგოგიძე.**

19 მარტი 1921 წ.

### სასწავლოდ სირკულარი.

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

სასწავლებლების დირექტორებს, უფროსებს და გამგეებს.

თანახმად განათლების კომისარიატის დადგენილებისა:

1. სასწავლებლების მართვა-გამგეობაში და როგორამებში სასწავლო წლის დამთავრებამდე არავითარ ცვლილებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი,

2. საშუალო სასწავლებლებმა უმეზვეო დამოკიდებულება უნდა იქონიონ განათლების კომისარიატთან.

3. დირექტორებს, უფროსებს და გამგეებს ევალებათ სასწავლებლების ქონების სრული დაცვა.

4. რადგან წითელ არმიელებს დიდი სურვილი აქვთ შეიძინონ სხვადასხვა ცოდნა, კომისარიატს სასურველად მიაჩნია თვითეთლმა სასწავლებელმა შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს არმიელებთან შესაფერ მეცადინეობის მოწყობას.

მთავარ გამგე **მ. თაქთაქიშვილი.**  
მდივანი **ნ. ჩიგოგიძე.**

21 მარტი 1921 წ.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი.

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

განათლების კომისარიატის ხელქვეით სასწავლებლებსა და დაწესებულებებსა უფროსებს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ყოველ დაწესებულებას ევალება უცხო საელმწიფოთ წარმომადგენლებთან დაიპირონ დამოკიდებულება არა პირდაპირ უშუალოდ, არამედ გარეშე საქმეთა კომისარიატის შუამდგომლობით.

ზემოაღნიშნულს გაუწყებთ ცნობად და, აღსასრულებლად.

საქმეთა მმართველი **ალ. მიქაბერიძე.**  
მდივანი **კ. არჯევანიძე.**

31 მარტი 1921 წ.



### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

სახალხო განათლების კომისარიატის უწყებაში შუადგ  
დაწესებულებათა უფროსებს.

გთხოვთ სასწრაფოდ წარმოგზავნოთ კომისარიატში ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა საკანცელარიო და საწარმოებელი მასალა, იხარლი, ფაბრიკატები და სხვ. მსგავსი ნივთები იქნება საქარო თქვენდამი რწმუნებული დაწესებულებისათვის ა/წ. ივლისის 1-მდე.

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე

მდივანი დავ. დონდუა

საქმის მწარმოებელი ი. ეპიტაშვილი

11 აპრილი 1921 წ.

### სასწრაფო ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა.

სასწავლებელთა დირექტორებს, უფროსებს და მმართველებს.

ამით გაუწყებთ, რომ თანახმად განათლების კომისარიატის დადგენილებისა: 1. ატესტატებში და მოწმობებში თვითოეულ ჩამოთვლილ საგნის გვერდით უნდა აღნიშნულ იქნას მხოლოდ „საკმარისი“ ან „სრულიად საკმარისი“. სხვა რაიმე ნიშნის დასმა საჭირო არ არის; 2. ატესტატების და მოწმობების ბლანკებს მოგაწოდებთ განათლების კომისარიატი; 3. ექსტერნებისათვის, რომელთაც მსურთ მიიღონ კურსის დათავრების ატესტატები ან მოწმობები, შესაფერი გამოცდა დანიშნულია 10 მაისიდან 30 მაისამდე; 4. გამოცდები სხვა კლასების მოწმობების მისაღებად გადადებულია მომავალ შემოდგომისათვის.

მთავარკამე მ. თაქთაქიშვილი.

ადასტურებს მდივანი ნ. ჩიგოგიძე.

15 აპრილი 1921 წ.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა.

საქადაქო და სამაზრო რეკომებს.

ამით გაუწყებთ რომ:

1. თანახმად განათლების კომისარიატის დადგენილებისა საქართველოს რესპუბლიკაში ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებელთა მოწაფეები უნდა დათხოვნილი იქნან სააღდგომოთ და საზაფხულოდ 27 აპრილს გაკეთილების შემდეგ;

2. მოწაფეთა კლასიდან კლასში გადაყვანა და ატესტატების მიცემა უნდა მოხდეს საგნებში მათი წლიური წარმატების მიხედვით;

3. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისი გამოცხადებული იქნება თავის დროზე.

გაცნობებთ, რა ამას, გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა თქვენს გამგებლობაში მყოფ სასწავლებლებმა იმოქმედონ თანახმად ამ ცირკულიარისა.

მთავარკამე გ. ჭუმბურიძე.

მდივანი ნ. ჩიგოგიძე.

12 აპრილი 1921 წ.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა.

საშუალო სასწავლებელთა უფროსებს.

გაცნობებთ, რომ თანახმად სასწავლო კოლეგიის დადგენილებისა სწავლის ფულის შემოუტანლობისათვის არ უნდა დააბრკალოთ მოწაფეები სიმწიფის და სხვა მოწმობების მიცემის დროს.

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე.

მდივანი დავ. დონდუა.

საქმისმწარმოებელი ი. ეპიტაშვილი.

12 აპრილი 1921 წ.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა.

სასწავლებლების დირექტორებს, უფროსებს და გამგეებს

ამასთანავე გაუწყებთ, რომ: 1. თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებლის ყველა მოსამსახურის საზაფხულო მისამართი ზედმიწევნით აღნიშნული უნდა იქონიოთ ყოველ ეამს სასწავლებლის კანცელარიაში. პირი მისამართების სიისა უნდა გამოეგზავნოს განათლების კომისარიატს ტფილისში;

2. ატესტატების და მოწმობების მიცემას არ უნდა აბრკალებდეს სასწავლო ფულის შემოუტანლობა.

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე

მდივანი კ. არჯევანიძე

19 აპრილი 1921 წ.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

საშუალო სასწავლებელთა უფროსებს და ქადაქისა და მასწავლებლის რეკომებს.

თანახმად კოლეგიის დადგენილებისა გთხოვთ სასწრაფოდ წარმოადგინოთ კომისარიატში თქვენდამი რწმუნებული სასწავლებლის შენობის აუცილებელი რემონტის მოსახდენად (განსაკუთრებით სახურავისა, დაზიანებული კედლებისა და სხვ.) სრული ხარჯთაღრიცხვა.

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე

მდივანი დ. დონდუა.

საქმის მწარმოებელი ი. ეპიტაშვილი.

19 აპრილი 1921 წ.



### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა  
საქალაქო და სამაზრო რეგამებს.

ამით გაუწყებთ, რომ:

1. თქვენს გამგებლობაში მყოფ სკოლების ყველა მასწავლებელთა სახაფხულო მისამართები უნდა იქონიონ სასწავლებლების გამგებმა კანცელარიაში, ხოლო პირი ამ მისამართების სიისა ამ უნდა გამოგზავნონ საქალაქო ან სამაზრო რეგამებს საჭიროებას დროს მასწავლებელთა გამოწვევად კულტურული თანამშრომლობისათვის.

2. ატესტაციებისა და მოწმობათა მიცემის და მოწაფეთა კლასიდან კლასში გადაყვანას არ უნდა აბრკოლებდეს სასწავლო ფულის შეუტანლობა.

გაცნობებთ რა ამას, ვთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება ამ ცირკულიარის სასწრაფოდ შესასრულებლად.

მთავარი გამგე გ. ჭუმბურიძე.

მდივანი ნ. ჩიგოგოძე

19 აპრილი 1921 წ.

### ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა

კრძალს სასწავლებლების დირექტორებს, უფროსებს და გამგებს.

ამით გაუწყებთ, რომ განათლების კომისარიატი ცირკულიარის № 2008, მუხლი მე-2 შესახებ სწავლის ფულის შეტანისა, ეხება მხოლოდ იმ სასწავლებლებს, რომელთაც ინახავს მთავრობა.

**შენიშვნა:** აღნიშნულ ცირკულიარის მუხლში ნათქვამია: 2 ატესტაციების და მოწმობების მიცემას და მოწაფეთა კლასიდან კლასში გადაყვანას არ უნდა აბრკოლებდეს სწავლის ფულის შემოუტანლობა.

მთავარგამგე მ. თაქთაქიშვილი

მდივანი ნ. ჩიგოგოძე

21 აპრილი 1921 წ.

## არზოფიციალური განყოფილება.

### ნატურალური გადასახადი

აშხ. ლენინის მოხსენება რ. კ. პ. მე-1 ყრილობაზე.  
პროლეტარიატის შეთანხმება გლეხთა უმრავლესობასთან.

აშხანაგებო! განაწირის გადასახადით შეცვლის საკითხი უპირველეს ყოვლისა და ყველაზედ მეტად წარმოადგენს პოლიტიკურ საკითხს, ვინაიდან

დღეა აზრი ამ საკითხისა შეიცავს მშრომელი კლასის დამოკიდებულებას გლეხობისადმი.

ამ საკითხის წამოყენება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელახლად, მე ვიტყვოდი უფრო მეტის სიფრთხილით—დაძაბებით უნდა გადავსინჯოთ და განვიხილოთ დამოკიდებულება ამ ორი მთავარი კლასისა, რომელთა ურთიერთ შორის ბრძოლა ან შეთანხმებაც სწვევებს მთელი ჩვენი რევოლუციის ბედ-იღბალს.

მე საქიროვ ან მიმაჩნია დაწვრილებით შევჩერდვ საქათხთა ასეთი გადასინჯვის მიზნებზედ. თქვენ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცით თუ როგორია მოვლენათა მთელი ჯამი, განსაკუთრებით უკიდურეს გაჭირვების ნიდაგზე წარმოშობილ მოვლენათა, ოაიკ გამოიწვია ომია, განადგურებამ, დემობილიზაციამა და მოუსავლობამ. ამ მოვლენებმა შექქნა გლეხობისათვის განსაკუთრებით მძიმე, მწვავე მდგომარეობა და აუცილებლად გააძლიერა მისი მერყეობა—პროლეტარიატიდან ბურჟუაზიისაკენ.

ორი სიტყვა ამ საკითხის თეორეტიულ მნიშვნელობის ან მის თეორეტიულად მიდგომის შესახებ: ეჭვი არ არის, რომ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა ისეთ მხარეში, სადაც მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას შეადგენს წვრილი მიწათ-მოქმედი მწარმოებლები, შესაძლოა მხოლოდ მათელ რიგ გარდამავალ ზომათა საშუალებით, რომლებიც სრულიად საქირო არ იქნებოდა კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დაქირავებული მუშები წარმოებასა და მიწათ-მოქმედების დარგში შეადგენენ ფრიად დიდს უმრავლესობას.

კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში არის ათეულ წლობის განმავლობაში ჩამოყალიბებული მიწის მუშათა კლასი. მხოლოდ ასეთ კლასს შეუძლია იყოს ყვარჯები როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლისათვის. მხოლოდ ისეთს ქვეყნებშია შესაძლებელი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, სადაც ეს კლასი საქმოდ არის განვითარებული. მთელ რიგ ხაწარმოებებში, ყველა ჩვენს გამოსვლებში და ყველა პრესამი ჩვენ ხაზს უსვამდით იმას, რომ რუსეთში ასე არ არის საქმე, რომ რუსეთში ჩვენა გვყავს მუშების უმცირესობა, ხოლო წარმოების ძლიერ დიდ უმრავლესობას შეადგენენ წვრილი მიწათ-მოქმედნი. ასეთს ქვეყანაში სოციალური რევოლუციის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ ორს პირობაში: პირველი: მისთვის თავის დროზე სოციალური რევოლუციით მხარის დაჭერით ერთს ან რამოდენიმე მოწინავე ქვეყანაში.

როგორც თქვენ იცით ამ პირობისათვის ჩვენ ძლიერ ბევრი გავაკეთეთ წარსულთან შედარებით, მაგრამ ეს სრულიდაც საქმარისი არ არის, რომ იგი სინამდვილედ იქცეს.

მეორე პირობა არის—გლეხობის უმრავლესობასთან შეთანხმება პროლეტარიატისა, რომელიც ანხორცილებს თავის დიქტატურას ანუ ხელთ უპყრია სახელმწიფო ხელისუფლება.



ეს შეთანხმება ფაქტად უარყო მცენება, რომელიც შეიცავს ზომებისა და გადასვლების მთელ რიგს. აქ უნდა ითქვას, რომ მთელი ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის საქმე სიწმინდეზე უნდა აფუგაოთ.

ის ხალხი, რომელსაც პოლიტიკად მიაჩნია წვრილმანი ხერხი, რომელიც ხშირად თითქმის მოტყუებამდე მიდის, ჩვენს წრეში უნდა შეშვდეს თვით უსახაროებს განსაზღვროს. კლასების მოტყუება არ შეიძლება. ჩვენ სამი წლის განმავლობაში ძლიერ ბეადი გადაკეთეთ იმისთვის, რომ მასსებში აოგვემადლოინა პოლიტიკური შეგნება. მასსებმა ყველაზედ მეტი ისწავლეს მწვავე ბრძოლებიდან.

ჩვენ თანახმად ჩვენი მსოფლმხედველობისა, ჩვენი 10 წლის\*) რევოლუციური გამოცდილობისა და ჩვენი რევოლუციის გაცვეთილობის მიხედვით-საკითხი უნდა დავაყენოთ პირდაპირ: კლასების ინტერესები სხვა და სხვანაირია, — წვრილ მიწათ-მოქმედს არ უნდა ის, რაც უნდა მოშას.

ჩვენ იცით, რომ მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებას შეუძლიან გადაარჩინოს რუსეთში სოციალისტური რევოლუცია, ვიდრე რევოლუცია არ მომხდარა სხვა ქვეყნებშია (და ასე პირდაპირ ვილაპარაკოთ ყველა ქრებაზე და პრესაში. ჩვენ კი არ უნდა ესვდილობდეთ, რისამე დაფარვას, არამედ პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ გლეხობა უკმაყოფილოა ჩვენში დამყარებულ ფორმით, რომ მას არა შესურს ამ ფორმის შეთვისება და, რომ იგი შიშობს ასე ვერ იარსებებს. ეს უდავოა. ეს მისი ნებისყოფაა გარკვევით გამოითქვა. ეს არის ნებისყოფა შიშობილი მასსების უდიდესი ნაწილისა. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ამას, და ჩვენც საკმაოდ თხიზილი პოლიტიკოსები ვართ, რომ პირდაპირა მსთქვათ: მოიტათ და გადავსინჯოთ.

ჩვენ უნდა ესთქვათ: თქვენ გინდათ უკან წასვლა, თქვენ გინდათ კრძოა შესაკუთარობისა და თავისუფალი იაქრობის მთლიანად აღდგენა? მაშინ, ეს იმას ნიშნავს. რომ ჩვენ მოვეჩვენებთ კაპიტალისტებისა და შემამოლოთა ბატონობის ქვეშ უთუოდ და აუცილებლად. ამას ამოწმებს მთელი რიგი ისტორიული მაგალითებისა და მაგალითები რევოლუციის. სულ მცირე ლაპარაკი კომუნისტებისა და პოლიტიკური ეკონომიის ანბანიდან — დაამტკიცებს ამის აუცილებლობას. მაშ, მოიტათ და განვიხილოთ. სასარგებლოა თუ არა გლეხობისათვის, რომ იგი დაშორდეს პროლეტარიატს ისე, რომ დაეჭანოს უკან და ქვეყანაც მიიყვანოს კაპიტალისტებისა და შიმშილოთა ხილისუთლებამდე. განიხილოთ თქვენ თვითონ და ნება დაგართეთ ერთად განხილვისაც.

და ჩვენ ვთქვამთ, რომ თუ ამას სისწორით განვიხილავთ, ანგარიში ჩვენი სასარგებლო იქნება, მიუხედავად პროლეტარიატისა და წვრილ მიწის-

მფლობელთა სრულის და ღრმად შეგნებულ ეკონომიური ინტერესების სხვა დასხვარებისა.

**საშუალოთა დაკმაყოფილება**

როგორც ძნელი არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა რესურსების მხრივ, მაინც უნდა ვადავსწყვიტოთ ამოცანა საშუალო გლეხობის დაკმაყოფილებისა. გლეხობა გახდა გაცილებით უფრო საშუალო ვიდრე წინა დროს იყო, წინააღმდეგობანი მოგვარდა, მიწა განაწილებულია თანაბრად, „კულაკს“ ჩამოეჭრა მიწები და იგი თვალსაჩინოდ გაიძარცვა. შიდა რუსეთში უფრო მეტად ვიდრე უკრაინაში, ციმბირში უფრო ნაკლებად, მაგრამ საზოგადოდ კი სტატისტიკური საბუთების მიხედვით უდავოა, რომ სოფელი გათანაბრდა და გათანასწორდა, ესე იგი მოსპო უკიდურესი განსხვავება სოფლის ბოზოლი გლეხობას, და უმიწაწყლოთა შორის. **მოხდა ყველაფრის გათანასწორება და საზოგადოდ გლეხობა ჩადგა საშუალო მდგომარეობაში.**

ჩვენ შეგვიძლიან თუ არა დავაკმაყოფილოთ ეს საშუალო გლეხობა, როგორც ასეთი თავისი ეკონომიურის თავისებურებათა და ეკონომიურის საფუძველით. თუ ვინმე კომუნისტთაგანი ოცნებობდა, რომ შესაძლებელია სამს წელიწადში გარდაიქმნას წვრილ მიწათ-მოქმედების ეკონომიური ბაზა, ეკონომიური საფუძველი, იგი, რასაკვირველია ფენტაზიორი იყო. და სრულიად საქროა არ არიო ცოდვის დამალვა, ასეთი ფენტაზიორები ბლომად იყვნენ ჩვენს შორის. და ამაში განსაკუთრებით ცუდი და დასაძრარახისი არაფერია: როგორ შეიძლებოდა ჩვენნიარ ქვეყანაში სოციალური რევოლუციის დაწყება უფანტაზიორებოდ? პრაქტიკამ — ექვი არ-არის, გვაჩვენა თუ რა უდიდესი როლის თამაში შეუძლიანთ სხვა და სხვა სახის გამოცდასა და დასაწყისს მიწის მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე წარმოების სფეროში. მაგრამ პრაქტიკამდე გვიჩვენა რომ ამგვარმა ცდამ როგორც ასეთმა, ითამაშა აგრედვე უარყოფითი როლიც, როდესაც სოფლად კომუნებისა და კოლექტივების მოსაწყობად მიდიოდა ხალხი, მიდიოდა ნამდვილ კეთილის განზრახვებითა და სურვილებით, მაგრამ არ კი იცოდა ასეთი მეურნეობა იმიტომ, რომ მას არა შექონდა კოლექტიური გამოცდილება. თქვენ ძალიან კარგად იცით, რამდენი იყო ასეთი მაგალითი.

ვიმეორებ რომ ეს საკვირველი არ არის, ვინაიდან წვრილი მიწათ-მოქმედის გარდაქმნისა და გადამუშავების საქმე, საქმე მთელი მისი ფსიხოლოგიისა და გამოცდილებათა გადამუშავებისა, არის ისეთი საქმე, რომელიც მოითხოვს თაობებს. წვრილ მიწათ-მოქმედების მიმართ ამ საკითხის გადაწყვეტადა მისი ფსიხოლოგიის ასე ვსთქვათ-გაჯანსაღება, შეუძლიან მხოლოდ ნატურალურ ბაზას, ტენიკას, ტრაქტორებისა და მანქანების მოხმარებას მიწათ-მეურნეობის ნიადაგზე მასსიურ მასშტაბში, ელექტროფიკაციას მასსიურ მასშტაბში.

აი, რა გარდაქმნიდა წვრილ მიწის-მეურნეს ძირუფლად და უდიდესის სისწრაფით.

\*) რედქცია ფიქრობს, რომ რუსულს ტექსტში მოყვანილი სიტყვა, — „10 წლის“, შეცდომით არის დაბეჭდილი.

მე თუ ვამბობ, რომ საქორთა თაობანი მეთქი, ეს იმას არ ნიშნავს, თათქოს საქორთ იყოს ასეული წლები. თქვენ კარგად იცით, რომ ტრაქტორებისა და მანქანების შექმნისა და უზარმაზარი მხარის ელექტროფიკაციის განხორციელების საქმე მოითხოვს არა ნაკლებ ათეულ წლებს. აი, როგორია ობიექტიური მდგომარეობა.

ეხლა საკითხავია, როგორ გავაკეთოთ ეს. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება იმ გლეხებისა, რომელნიც არ არიან დაკმაყოფილებულნი, რომელთა უკაყოფილება კანონიერია და რომელნიც არ შეიძლება კმაყოფილნი იყვნენ. ჩვენ უნდა ვსაუბრობოთ: „დიხ, არ შეიძლება შემდეგშიც გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა.“ როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ ეს გლეხობა, და რას ნიშნავს მისი დაკმაყოფილება? საიდან შეგვიძლიან მივიღოთ პასუხი ამ კითხვაზე. თუ როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ იგი?

რალა თქმა უნდა, ეს პასუხი თვით იმავე მოთხოვნილებათაგან უნდა მივიღოთ. ჩვენ ვიცნობთ ამ მოთხოვნილებებს. მაგრამ ჩვენ უნდა შევამოწმოთ ისინი, თავი უნდა მოუყაროთ ეკონომიურ მეცნიერებაში ყველაფერს იმას, რაც კი ვიცით მიწათ-მოქმედის ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესახებ.

როდესაც ამ საკითხს დაუკვირდებით, ჩვენ უფროად წამოვიძახებთ ჩვენთვის: წვრილი მიწათ-მოქმედის დაკმაყოფილება საქმის დედა აზრის მიხედვით ორი რამით შეიძლება: პირველი: საქორთა ერთგვარად გარკვეული ადებ-მიცემობის თავისუფლება წვრილ კერძო მეურნისათვის და მეორე: საქორთა საქონლისა და ნაწარმოებისათა მოენა.

რა არის თავისუფალი ადებ-მიცემობა თუ სააღებ-მიცემო არაფერი იქნება და თავისუფლება ვაჭრობისა, თუ სავაჭრო არაფერი იქნება? მაშინ ეს ქალაქად გადაიქცევა, ხოლო კლასები, კმაყოფილებიან არა ქალაქადებით, არამედ მატერიალური საგნებით.

ეს ორი პირობა კარგად უნდა შევიგნოთ. როგორ უნდა ვიშოვოთ საქონელი? ამაზე შემდეგ ვილაპარაკებთ. შევსძლებთ თუ არა ჩვენ მათს შოვნას, ამაზე უნდა შევიჩინოთ.

რა არის ადებ-მიცემობის თავისუფლება? ადებ-მიცემობის თავისუფლება არის ვაჭრობის თავისუფლება, ხოლო ვაჭრობის თავისუფლება ნიშნავს უკან, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებას.

ადებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლება ნიშნავს ცალკე წვრილ მეურნეობათა ურთი-ერთ-შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ჩვენ ყველამ, ვისაც კი მარქსიზმის ანბანი მაინც უსწავლია, ვიცით, რომ ამ ადებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლებიდან აუცილებლად გამომდინარეობს საქონლის მწარმოებლის დაყოფა-კაპიტალის პატრონად და მუშა ხელად, მათი დანაწილება კაპიტალისტად და დაქირავებულ მუშად, ესე იგი ხელახლად გარდაქმნა დაქირავებულ კაპიტალისტურ მონობისა, რომელიც ზეციდან კი არა ვარდება, არამედ მთელს მსოფლიოში იზრდება მხოლოდ და მხოლოდ

სავაჭრო საქონლის მიწათ-მოქმედების მექანიზმით. ეს ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით თეორეტიულად, და რუსეთში, ვინ კი დაპვირვებია წვრილ მიწის-მეურნის ცხოვრებასა და მისი მეურნეობის პირობებს, არ შეიძლება არ შეამჩნიოს ეს.

ეხლა საკითხავია როგორ, შეუძლიან თუ არა კომუნისტურ პარტიას აღიაროს ვაჭრობის თავისუფლება და მასზე გადასვლა? არის თუ არა აქ შეუიღებელი წინააღმდეგობანი? ამაზე უნდა უპასუხოთ: ამ საკითხის ფაქტიური გადაწყვეტა ექვი არ არის, მეტის მეტად ძნელია.

მე წინდაწინვე ვგრძნობ და ამხანაგებთან ზაასიდანაც ვიცი, რომ განაწერის გადასახადით შეცვლის წინასწარი პროექტი ყველაზე მეტად კანონიერსა და აუცილებელ კითხვებს გამოიწვევს იმის შესახებ, რომ გაცვლა გამოცვლა ნებადართულია ადგილობრივი მეურნეობის ადებ-მიცემობის ფარგლებში: რას ნიშნავს ეს? რანაირია მისი საზღვარი, როგორ უნდა განვხორციელოთ იგი?

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამგვარ კითხვაზე პასუხი მიიღოს ეხლანდელს ყრილობაზე, იგი სცდება. ამ კითხვაზე პასუხს მივიღებთ ჩვენი კანონმდებლობისაგან. ჩვენი დანიშნულებაა მხოლოდ პრინციპიალური ხაზის გატარება ლოზუნგის წამოყენება. ჩვენი პარტია—მთავრობის პარტიაა და ის დადგენილება, რომელსაც გამოიტანს პარტიული ყრილობა, სავალდებულო იქნება მთელი რესპუბლიკისათვის. და ჩვენ აქ პრინციპიალურად უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ჩვენ საკითხი პრინციპიალურად უნდა გადავწყვიტოთ, ვაცნობოთ ამის შესახებ გლეხობას იმ ტომ. რომ უკვე მარხოლოვებულია დათესვის დრო, და შემდეგ ავამოძრაოთ მთელი ჩვენი აპარატი, მთელი ჩვენი თეორეტიული ძალაონე, მთელი ჩვენი პრაქტიკული გამოცდლება რათა ვნახოთ, როგორ გაკეთდება ეს.

**ადგილობრივი მეურნეობის ადებ-მიცემობის თავისუფლება პროლეტარული ხელისუფლების დროს.**

შეიძლება თუ არა ამის გაკეთება, თეორეტიულად რომ ვსაუბრობთ, შეიძლება თუ არა განსახლურულ ფარგლებში ადგილი იქმნას ვაჭრობის თავისუფლება, თავისუფლება კაპიტალიზმისა წვრილ მიწათ-მეურნისათვის ისე, რომ ამით საფუძველი არ შეერყეს პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელისუფლებას? შეიძლება თუ არა ეს? შეიძლება, ვინაიდან საკითხი ზომიერებას ეხება. ჩვენ, რომ ისეთს მდგომარეობაში მოვქცეულიყავით, რომ შესაძლო გამხდარიყოს თუნდაც მცირე რაოდენობის საქონელი მიგველო და იგი ხელთა ჰქონოდა სახელმწიფოს, ხელთა ჰქონოდა პოლიტიკური ხელისუფლების მქონე პროლეტარიატს და და შევკვლივბოდა ამ საქონლის სააღებ-მიცემოთ გაშვება, — ჩვენ, როგორც სახელმწიფო ჩვენს პოლიტიკურ ხელისუფლებას მიუმატებდით აგრედვე ეკონომიურ ხელისუფლებასაც. ამ საქონლის სააღებ-მიცემოდ გაშვება გამოაცოცხლებს წვრილ მიწათ-მოქმედებას

რომელიც ამ უმად საშინლად მოღუწებულთა ომი, მიერ გამოწვეულ მძიმე პირობებისა, განადგურებისა და წვრილ მიწათ-მოქმედების ხელახლად ამოძრავების შეუძლებლობისა გამო. წვრილმანი მუხლუგუნნი. წამოქეზებულია და შეესაბამება მის ეკონომიურ ბაზას. ე. ი. წვრილ ცალკე მეურნეობას. აქ თავს ვერ დაახვეწთ ადგილობრივ აღებ-მიცემობის თავისუფლებას.

უკეთეს ეს აღებ-მიცემობა სახელმწიფოს საქონელზე გადაცემის დროს აძლევს პურის განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც საკმარისი ქალაქისა, ფაბრიკისა და წარმოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ჩამინ ეკონომიური აღებ-მიცემობა მყარდება ისე, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მაგრდება და რჩება პროლეტარიატის ხელში.

გლებობა პრაქტიკაში თხოულობს, აჩვენონ მას, რომ მუშას, რომელსაც ხელთა აქვს ქარხნები, ფაბრიკები, წარმოება, შეუძლიან დაამყაროს აღებ-მიცემობა გლებობასთან.

მეორეს მხრივ ჩვენი უზარმაზარი სამიწათ-მოქმედო ქვეყანა, რომელსაც არა აქვს რიგობი გზები, რომელიც მოფენილია თვალუწვდენელის ველებით, რომელშიც არის სხვა და სხვა ხასიათის სასოფლო მეურნეობა და სხვა. აუცილებლად გულსხმობს აღებ-მიცემობის განსაზღვრულ თავისუფლებას ადგილობრივ მიწათ-მოქმედებისა და წარმოების მასშტაბში.

ამ მხრივ ზევით იყო შეცდომა და უდიდესი დანაშაულობა იქნებოდა აქ დანახვა და არ გაგება იმისა, რომ ჩვენ არ დავიცავით ზომები, რომ არ ვიცოდით როგორ დავგვეცვა იგი. მაგრამ აქაც იძულებითი აუცილებლობა იყო — ჩვენ აქამომდე ისეთს ვაფთხებულ და გაუგონარ მძიმე ომის პირობებში ვსკობდოდით, რომ თვით ეკონომიურ დარგშიც კი მხოლოდ სამხედრო მოქმედების შეტარება იყო დაგვიჩინია. და სასწაული იყო ის, რომ ასეთმა განადგურებულმა მხარემ ამნაირ ომს გაუძლო, — და ეს სასწაული ზეციდან კი არ ჩამოვარდნილა, არამედ იგი წარმოსდგა მუშათა კლასისა და გლებთა ეკონომიურ ინტერესებიდან, რომელთაც ეს სასწაული შექმნეს თავის სიმტკიცით: იმასასწაულის წყალობით უკუ-გაგდეთ შემამულენი და კაპიტალისტები. მაგრამ ამავე დროს არის იდენტური უეჭო ფაქტი, რომელიც არ უნდა დავფაროთ აგიტაციასა და პროპაგანდაში, რომ ჩვენ შევტოვებთ უფრო ღრმად, ვიდრე ეს აუცილებელი იყო თეორეტიულად და პოლიტიკურად. ჩვენ შეგვიძლიან დაუშვათ ადგილობრივი თავისუფალი აღებ-მიცემობა თვალსაჩინო რაოდენობით. დაუშვათ მაგრამ არა ისე, რომ დაირღვეს პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლება, არამედ ისე, რომ უფრო განმტკიცდეს იგი. როგორ შეიძლება — ეს პრაქტიკის საქმეა. ჩემი საქმეა — დაგიმტკიცოთ, რომ ეს თეორეტიულად დასაშვებია. სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მდგომ პროლეტარიატს, თუკი მას გააჩნია რამიმ რესურსები, თავისუფლად შეუძლიან დაუშვას მათი აღებ-მიცემობა და

ამ მხრივ მიადწიოს საშუალო გლების განსაზღვრულ დაკმაყოფილებას, რომელიც უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს ადგილობრივ სამეურნეო საფუძვლის მიცემობის საფუძველზე.

**კოოპერაციაზე.**

ეხლა მე უნდა შევეხო საკითხს კოოპერაციაზე. რასაკვირველია, კოოპერაცია ჩვენ გვეჩრია ადგილობრივ სამეურნეო აღებ-მიცემობის დროს. ჩვენ ნი პროგრამა ხაზ გასმით ამბობს, რომ განაწილებისთვის საუკეთესო აპარატი არის კაპიტალიზმი-საგან და ჩენილი კოოპერაცია, რომ ეს აპარატი უნდა შევიწარმინოთ. ეს ნათქვამია პროგრამაში. გამოვიყენეთ თუ არა ჩვენ კოოპერაცია? ძალიან მკიცრედ. ესეც მოხდა ზოგი შეცდომისა და ზოგი სამხედრო საქარობის შეოხებით. კოოპერაცია ჰყოფდა უფრო მეტად სამეურნეო, უფრო მეტად უმაღლეს გლეშენტებს ეკონომიურის მხრივ და თვით ამით კი პოლიტიკაში იგი ჰყოფდა მენშევიკებსა და ს. რ.-ებს. ეს ქიმიური კანონია, აქ ვერაფერს გააწობს კაცი. მენშევიკები და სოც.-რევოლიციონერები ეს ის ხალხია, რომელნიც შეგნებით თუ შეუგნებლად აღდგენენ კაპიტალიზმს და შევლიან იუდენიჩებს. ესეც კანონია. ჩვენ მათ უნდა ვეომოთ. და რახან ვეომებით — მეომრულათ უნდა ვეომოთ. ჩვენ ჩვენი თავი უნდა დავგვეცვა. და ჩვენ დავიცავით ჩვენი თავი. მაგრამ შეიძლება დავრჩეთ ეხლანდელს მდგომარეობაში? არ შეიძლება. და ამით ხელების შეკვრა შეცდომა იქნება უსათუოდ. აი, რატომ შემომაქვს კოოპერაციის საკითხის შესახებ რეზოლიუცია, რომელსაც ძლიერ მოკლეთა და მე წაგვიტხავთ ამას:

„რადგანაც რ. კ. პ. მე-IX ე ყრილობის რეზოლიუცია კოოპერაციასთან დამოკიდებულების შესახებ მთლად აშენებულია განაწილის პრინციპის მიღებაზე, რომელიც ეხლა ნატურალურის გადასახადით იცვლება, რ. კ. პ. მე-X ყრილობა აღდგენს:

ხსენებული რეზოლიუცია გაუქმდეს. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს, შეიმუშაოს და გაატაროს პარტიულ და საბჭოთა წესისამებრ დადგენილებანი, რომელნიც გააუმჯობესებენ და განავითარენ კოოპერაციების აგებულებასა და მოღვაწეობას თანახმად რ. კ. პ. პროგრამისა და განაწილის ნატურალურ გადასახადით შეცვლასთან შეფარდებით“.

მაგრამ მე-IX ყრილობის რეზოლიუცია ხელებს გვიკრავს, იგი ამბობს: „დაუმორჩილდეს კომპრომის“. კომპრომი მშენებელი დაწესებულებებია, მაგრამ უთუოდ დამორჩილება მისთვის კოოპერაციისა და ამით საკუთარი ხელების შებოქვა წვრილ მიწის-მოქმედთადმი დამოკიდებულებათა გადასინჯვის დროს, ეს ნიშნავ პოლიტიკურად აშკარა შეცდომის ჩადენას.

ჩვენ უნდა მივანდოთ არჩეულ რ. კ. რომ მან შეიმუშაოს და აღადგინოს ზომები და ცვლილებანი. ჩვენ ამ შემთხვევაში, თეორეტიულად რომ ვსთქვათ, ვდგევართ მთელ რიგ გადასასვლელ საფეხურთა და გადასასვლელ ზომათა წინაშე.

ჩვენთვის ცხადია ერთი: მე XI ყრილობის რეზოლუცია გულისხმობდა, რომ ჩიენი მოძრაობა წაგა პირდაპირის ხაზით. მაგრამ აღმოჩნდა, როგორც აღმოჩენილ რევოლუციის ისტორიაში, რომ მოძრაობა წაგდა მინიჭულ-მოხვეულებით. ასეთი რეზოლუციით ხელების შეკრა პოლიტიკური შეცდომაა. ვაუქებთ რა მას, ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა ვიხრებოდეთ პრაქტიკით. რომელიც ხაზს უსვამს საკომპერაციო აპარატის მნიშვნელობას.

